

10  
1945

# პნის მწიკი



ივნიბი  
N5

1945







1604

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ყველა უშიაარაღებულ კალთა უმაღლესი მთავარსარდალის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისათვის საბჭოთა კავშირის მცნერალისიფისის უმაღლესი საფედრო წოდების მიწიფივის უსახებ

სსრ კავშირის ყველა უშიაარაღებულ კალთა უმაღლეს მთავარსარდალს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს მიწიფივს უმაღლესი საფედრო წოდება—საბჭოთა კავშირის მენერალისიფისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოკიძე

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 27 იფისი,



# დამსახურებუდი ჯილდო დენინურ - სტალინურ კომკავშირს



უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსო საბჭოთა ახალგაზრდობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 14 ივნისის ბრძანებულებამ ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. ჩვენს მშობლიურ კომკავშირს ეს უმაღლესი ჯილდო მიენიჭა „ბიტურული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში გაწეული დიდი მუშაობისათვის“.

ბოლშევიკური პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კომკავშირს. მაღალ შეფასებას აძლევდა მის მუშაობას ახალგაზრდობას შორის. საბჭოთა ხელისუფლებამ კომკავშირი წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომისა და მშვიდობიანი მშენებლობის წლებში უდიდესი დამსახურებისათვის.

პირველი ჯილდო—წითელი დროშის ორდენი კომკავშირმა 1928 წელს მიიღო სამოქალაქო ომში საბრძოლო დამსახურებისათვის. გაციხსენოთ ნიკოლოზ ოსტროვსკის წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, გაციხსენოთ პავლე კორჩაგინი და მისი შეგობრები და ნათელი იქნება, თუ როგორ დიდი და შესანიშნავი გმირობა გამოიჩინა კომკავშირმა სამოქალაქო ომში.

მაშინ, ამ პირველი ჯილდოს—წითელი დროშის ორდენის—მიღების საპასუხოდ, კომკავ-

შირის VIII ყრილობამ ყველა კომკავშირელის სახელით განაცხადა: „ჩვენი ცოდნა, ჩვენი კუნთები და ჩვენი სიცოცხლე მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას ეკუთვნის. ჩვენ არ დავგვიშურებია ისინი სამოქალაქო ომის ცეცხლოვან წლებში, ჩვენ თვალის დაუხამ-

ხამებლად გავიღებთ მათ ახალ განსაცდელთა და გამარჯვებათა დღეებში“.

სამი წლის შემდეგ, 1931 წელს, ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვან დროშაზე მეორე ორდენი—შრომის წითელი დროშის ორდენი აუღვარდა. ეს ახალი ჯილდო კომკავშირს გადაეცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი სტალინური ხუთწლეულის პერიოდში შრომითი დამსახურებისათვის.

კომკავშირელები დამკერვლობისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარების ინიციატორები იყვნენ. კომკავშირელთა, სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის მარჯვენით აშენდა სტალინური ხუთწლეულის პირში—სტალინგრადის სტარაქტორო ქარხანა. კომკავშირელები ეხმარებოდნენ დნეპრპესის, მაგნეტოგორსკის მანქანათმშენებლობის ქარხნის, კუზბასის და მრავალი სხვა ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას, ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენ, ბარაქინა და ხვაიან მინდვრებსა და ბალ-ბოსტნებს თავდადებული შრომით ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას.

სასახელოდ შეასრულა კომკავშირმა VIII ყრილობაზე დადებული თავისი პირობა. სამანულო ომის პირველი დღიდანვე კომკავშირის მთელი საქმიანობა გამსჭვალული იყო



ლოუნჯით: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“.

ომის პირველ დღეებშივე კომკავშირის კომიტეტებსა და სამხედრო კომისარიატებში ასიათასობით კომკავშირელმა კბაბუკმა და ქალიშვილმა შეიტანა განცხადება და გამოთქვა ფრონტზე მოხალისედ წასვლის სურვილი. ვინც ფრონტზე წასვლა ვერ მიახერხა, უმაგალითო ერთუზიანებით შეუდგა შრომის ზურგში. პირველად კომკავშირელთა წრეში ჩაისახა სახელოვანი ორასოვანთა მოძრაობა, თვითთელი მათგანი ორის მაგიერ — თავის და ფრონტზე წასული აზნაგის მაგიერ მუშაობდა. თითქოს თავის ტოლ ფრონტელებს მამაკობასა და სიმტკიცეში ეჯიბრებოდნენო, ერთგულად შრომობდნენ ზურგში ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნენი, ინტელიგენცია. დიდმა სტალინმა გმირი საბჭოთა ახალგაზრდობის შრომის უწოდა უმაგალითო გმირობა, რომელიც სამუდამოდ შევა ისტორიაში.

და აი დღეს მესამე ჯილდო, უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი ელვარებს კომკავშირის სახელოვან დროშაზე, რაც უმაღლესი ნიშანია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ახალგაზრდობის დამსახურებისა, მისი თავდადებისა და უსაზღვრო ერთგულებისა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

2.000-მდე კომკავშირელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მარტო 1944 წლის განმავლობაში ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნა 590 ათასი კომკავშირელი — მეომარი. პარტიზანულ რაზმებში

ახალგაზრდობა შეადგენდა 60-70 პროცენტს 50 ათასზე მეტმა ახალგაზრდა პარტიზანმა მიიღო მთავრობის ჯილდოები, მათგან 35 ახალგაზრდას უმშვენებს მეერს საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი. საუკუნოდ შეინახავს ისტორია სამამულო ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდების, კომკავშირის ჯუჯღავი შვილების: ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლეგენდარულ „სიმართლის მუწყებლის“ ლიზა ჩაიკინას, უშიშარი ქართველი ვაჟკაცის ერონიე ინაურის და სხვათა ბრწყინვალე სახელებს.

\* \* \*

ნორჩო პოინერებო! ყოველი კომკავშირელი ამაყობს იმით, რომ კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის ერთგულ თანაშემწედ იწოდება, თვითთელი მათგანი ოცნებობს ვახდეს ჩვენი დიადი პარტიის წევრი და ყოველნაირად ცდილობს მიაღწიოს ამ ღირსებას.

თქვენ, კომკავშირელთა უმცროსი დები და ძმები, იზრდებით მათ ცვლად. უთუოდ, ყოველი თქვენგანი აგრეთვე ოცნებობს იმ დღეზე, როცა ლენინურ-სტალინური კომკავშირის რიგებში მივიღებენ.

ეს მარად სახსოვარი მოვლენა იქნება თქვენც ცხოვრებაში. იგი საქმით — ბეჯითი სწავლით, კარგი ყოფაქცევით, მუყაითი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით — უნდა დაიმსახუროთ. იყავით ისეთნი, როგორც თქვენი უფროსი დამძმები — კომკავშირელები არიან. დაე თვითთელ თქვენგანზეც სთქვას ხალხმა: ეს ნამდვილი კომკავშირელია, ნამდვილი პარტიოტია თავისი სამშობლოსი!





# Пионерская ПРАВДА

XXV ЛЕТ



Воскресенье

10

ИЮНЯ


1945 г.

№ 25 (2850)

Орган Центрального Комитета и МК ВЛКСМ

Цена 10 коп.

## Родному Иосифу Виссарионовичу Сталину НАШ ГОРЯЧИЙ ПИОНЕРСКИЙ ПРИВЕТ!



### Газете «Пионерская правда»

В день двадцатилетия «Пионерской правды» горячо приветствую редакцию, юных корреспондентов и читателей газеты!

«Пионерская правда» помогает советским детям овладеть знаниями, воспитывает пионеров и школьников в духе заветов нашего великого учителя Ленина.

Желаю «Пионерской правде» новых успехов в деле воспитания юных ленинцев в духе преданности нашей Родине.

**И. СТАЛИН.**

#### «Пионерской правде»

Приветствую и поздравляю «Пионерскую правду» и ее юных читателей в день двадцатилетия газеты.

Желаю «Пионерской правде» чтобы она и впредь воспитывала пионеров и школьников безграничной любовью к нашему великому другу и отцу советских детей товарищу Сталину жажду знаний, настойчивость и упорство в учении и труде, создание того, что отличает успехи в учебе — дело чести и доблести пионеров и школьников.

Ларрентий БЕРИЯ,

#### «Пионерской правде»

Центральный Комитет ВЛКСМ шлет горячий комсомольский привет «Пионерской правде» — ее читателям, корреспондентам, редакционному коллективу в день XXV-летия газеты.

«Пионерская правда» активно помогает большевистской партии советскому правительству в обучении и воспитании молодого поколения нашего народа в духе преданности великим идеям Ленина—Сталина.

ЦК ВЛКСМ желает коллективу газеты дальнейших успехов в этой важной для государства работе и выражает уверенность в том, что «Пионерская правда» и впредь будет воспитывать юных ленинцев в духе безграничной преданности своей Родине, большевистской партии товарищу Сталину — лучшему другу советских детей.

Центральный Комитет ВЛКСМ.

Указ Президиума Верховного Совета СССР

### О награждении газеты «Пионерская правда» орденом Трудового Красного Знамени

За многолетнюю плодотворную работу по воспитанию и обучению детей из числа пионеров и школьников пионеров и школьников из числа пионеров и школьников — награжден газету «Пионерская правда» орденом Трудового Красного Знамени.

Председатель Президиума Верховного Совета СССР

**М. КАЛИНИН,**

Секретарь Президиума Верховного Совета СССР

**А. ГОРЬКИН.**

Москва, Кремль. 9 июня 1945 года.

### Редакции газеты «Пионерская правда»

В день славного двадцатилетия «Пионерской правды» Московский областной и городской комитеты ВКП(б) шлют редакцию, юным корреспондентам и читателям газеты горячий привет.

Вбилей «Пионерской правды» — праздник всех советских пионеров и школьников Газета прошла славный путь, завоевала большую любовь и уважение не только среди своих читателей, но и среди педагогов и родителей Газета неутомимо прививает детям любовь и преданность Родине.

Желаю «Пионерской правде» и впредь успешно прививать комсомолу и школе воспитывать детей в духе беспредельной искренности советской Родины и великому делу Ленина—Сталина.

Московский областной и городской  
Комитеты ВКП(б).





„პიონერსკაია პრავდის“ ოცი წლისთავის დღეს მხურვალედ მივესალმები გაზეთის რედაქციას, ნორჩ კორესპონდენტებსა და მკითხველებს!

„პიონერსკაია პრავდა“ ეხმარება საბჭოთა ბავშვებს ცოდნის შეძენაში, პიონერებსა და მოსწავლეებს ზრდის ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძთა სულისკვეთებით.

ვუსურვებ „პიონერსკაია პრავდას“ ახალ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს ერთგულებით სულისკვეთებით ნორჩ ლენინელთა აღზრდის საქმეში.

**ი. სტალინი**

## ძვირფასი იუბილარი

მარადეამს წარუხოცელი იქნება ჩვენი ქვეყნის ნორჩი თაობის ხსოვნაში 1945 წლის ივნისი. საბჭოთა ბავშვების ერთგულ მეგობარს, მათს საყვარელ გაზეთ „პიონერსკაია პრავდას“ არსებობის ოცი წლისთავი შეუსრულდა. იუბილარ მეძრძოლ საბავშვო გაზეთის მთავრობის მაღალი ჯილდო—მრომის წითელი დროშის ორდენი მიენიჭა.

„პიონერსკაია პრავდის“ რედაქციას, მის ნორჩ კორესპონდენტებსა და მკითხველებს საიუბილეო დღეს მხურვალედ მიესალმენ საბჭოთა ბავშვების გულითადი მეგობარი, მასწავლებელი და მამა ხალხთა ბელადი დიდი სტალინი, მისი უერთგულესი თანამებრძოლი ლაერენტ პავლეს-ძე ბერია, ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ხელმძღვანელი ორგანოები და გამორჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი.

\*\*\*

ეს იყო ოცი წლის წინათ, 1925 წელს. საბჭოთა ბავშვების ცხოვრებაში მეტად სასიხარულო ამბავი მოხდა, გამოსვლა დაიწყო პირველმა საბავშვო გაზეთმა „პიონერსკაია პრავდამ“. ახალი გაზეთი საბჭოთა ბავშვების ერთგული მეგობარი, მჩრეველი და აღმზრდელი უნდა ყოფილიყო.

თანდათანობით უკეთესდებოდა გაზეთი, დღით-დღე უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდებოდა მისი შინაარსი.

და დღეს, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ბავშვები გულისფანქვალთა მივლიან ყოველ ახალ ნომერს, სიხარულით გადადის იგი ხელიდან ხელში. ბავშვობათა მთელი არმია აწვდის რედაქციას მასალებს ბავშვთა შრომა-საქმიანობის, ყველა შათი საინტერესო წამოწყებების შესახებ. რას არ აკეთებენ პიონერები! ძინი არა მარტო ყვარა სწავლობენ, არამედ ცდილობენ კარგა საქმიანობაში უახლოესი თანამემწენი იყვნენ უფროსებისა. ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები—აი მათი ღვიძლი ინტერესები. მოვიყვანათ ზოგიერთი მაგალითები:

აი დიადი სტალინური ზუთწლედები.

ჩვენს თვალუწოდენ ქვეყანაში კიდით-კიდემდე გაჩაღებულია მუშაობა. ზღაპრულად აღიმართნენ ფაბრიკა-ქარხნების გიგანტური კორპუსები. ათასობით ტრაქტორი სერავს საკოლმეურნეო მიწებს. გული გადაიხსნა ჩვენი სამშობლოს მდიდარმა ბუნებამ, უმრეტე რესურსები მოედინება მისი წიაღიდან.

და ყველგან ფუსფუსებენ პიონერები, ყველგან გამოუძებნიათ თავიანთი შესაფერი საქმე.

ძნელი ღრო იყო მამინ, საბრძოლო ღრო დიდ ამტანობასა და გამძლეობას მოითხოვდა ადამიანებისაგან. ბავშვები არაფერს არ ზოგადენენ, როგორც კი შეეძლოთ ეხმარებოდნენ უფროსებს.

დაიწყო დიდი სამაშულო ომი, ჩვენი ბავშვები კვლავ მხარში ამოუდგნენ უფროსებს. ყარვალ სწავლას ოსტატურად უზამებდნენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ზურგში, ხოლო ფრონტისპირა რაიონებში სიცოცხლის დაუზოგავად ეხმარებოდნენ ჩვენს მეზობლებსა და პარტიზანებს.

„პიონერსკაია პრავდა“ ყოველ ნომერში ამცნობდა მკითხველებს ბავშვთა შრომისა და ბრძოლის ფრონტზე ჩადენილ ვიმორბას.

„პიონერსკაია პრავდის“ ფურცლებიდან ესაუბრებოდნენ მოსწავლეებს, ასწავლიდნენ და ზრდიდნენ მათ ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩენილი მოღვაწენი.

ენა ვერ მოსთვლის იმდენი სასარგებლო და საინტერესო რამ მოუთხრო საყვარელმა გაზეთმა თავის მკითხველებს. იგი დაუღალავად მოუწოდებს ნორჩ თაობას დაუფუძლებს ცოდნას, შთაუნერგავს ბავშვებს გამბედაობას, სიმტკიცეს მიზნის მიღწევაში, ამხანაგობის მაღალ გარძობას, იგი მხურვალედ ქადაგებს შრომის, მეცნიერებისა და კულტურის იდეას, საბჭოთა პარტიოტიზმის იდეას, ჩვენი დიდი ხალხისადმი სამსახურის იდეას.

საქართველოს პიონერთა და მოსწავლე-თა მხურვალე სალაში ძვირფას იუბილარს!

## აღმსახურებელი



ახლახან ჩვენმა სამშობლომ აღნიშნა აღმსახურებელი წულუკიძის გარდაცვალები 40 წლისთავი. აღმსახურებელი (საშა) წულუკიძე იყო დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლი, განათლებული მარქსისტი-რევოლუციონერი, შესანიშნავი ორგანიზატორი, სპეტაკი პიროვნება, მხურვალედ უყვარდა მშრომელი ხალხი და მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა. საშა წულუკიძემ



და ლადო კეცხოველმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გასული საუკუნის ბოლო წლებში ჩამოაყალიბეს ჩვენში რევოლუციურ-მარქსისტული ორგანიზაციები, რომლებიდანაც შემდეგ წარმოიშვნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამიტომაც არის ასე ძვირფასი და ახლობელი წულუკიძე ჩვენს ბოლშევიკური პარტიისა და ხალხისათვის.

ა. წულუკიძე დაიბადა 1876 წელს დაბახონში (ახლა ეს რაიონი წულუკიძის პარტი-საციემად მის სახელს ატარებს) თავადის ოჯახში. ბავშვობიდან კეთილი, გონიერი, ბეჯითი, მტკიცე ნებისყოფის საშა აკვირდებოდა იმ წრეს, რომელშიც ცხოვრობდა

და ნათლად ხედავდა, რომ მამამისი და სხვა თავადები არ მუშაობდნენ და მდიდრად ცხოვრობდნენ, ხოლო გლეხები წლებზე ფხვს იღამებდნენ, დღეღამე ჯაფაში იყვნენ, მაინც უღუქქაპურიად რჩებოდნენ. მათი ნაშრომი მდიდრებს მიჰქონდათ. ერთხელ მოთმინებულად გამოსულმა მამას უთხრა: „მამა, შენ და ბაბუა კონსტანტინე შუქთახორები ყოფილხართ, სხვის ნაშრომს მიირთმევთ, თქვენ კი მიმინოთ და ძალღებთ დასეირნობთო“. ყველა გააოცა ბავშვის ასეთმა სწორმა შენიშვნამ.

საშა გიმნაზიაში საუკეთესოდ სწავლობდა, მაგრამ მეფის დროინდელ სკოლებში არსებულმა აღზრდის იეზუიტურმა რეჟიმმა აიძულა იგი დაეტოვებინა გიმნაზია. ამ ხანებში საშა წერდა მოთხრობებსა და ლექსებს. ნორჩი ავტორი თავის შემოქმედებაში წარმოსახავს მშრომელი ხალხის მძიმე მდგომარეობას და მისი სიმპატიები მშრომელებისადმი მიმართული. მაგრამ საშამ იცის, რომ ხალხის სამსახურისათვის საჭიროა, სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა. საშა ზიზღს უცხადებს მის სოციალურ წრეს — თავდაზნაურობას, თავდაზნაურულ უქნარა ახლგაზრდობას და ეწაფება თვითგანვითარებას. ამ ხანებში იგი ერთ მეგობარს სწირდა:

„ჩემი მიზანია — საზოგადოების სამსახური და იარაღით ხელში პატროსანი მოსამზადებელი შრომა“. 1897 წელს საშა მიემგზავრება მოსკოვს სწავლის განსაგრძობად. დიდი ნივთიერი გაჭირვების მიუხედავად იგი დაძაბულად მუშაობდა ცოდნის გასაღრმავებლად. მოსკოვისა და პეტერბურგის სტუდენტობაში ეწევა მარქსიზმის იდეების პროპაგანდას. რუსეთიდან გზავნის წერილებს ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. 1900 წელს ბრუნდება სამშობლოში. განათლებული მარქსისტი, რომელიც 1895 წლიდან „მესამე დასში“ შევიდა და ეწეოდა მარქსისა და ლენინის იდეების პროპაგანდას, აწეობს მუშათა წრეებს, ახალი ენერგიით განაგრძობს რევოლუციურ მოღვაწეობას.

1900 წელს საშა ერთი ხელმძღვანელთაგანია თბილისის მუშების საგაფიცო მოძრაობისა. მოგზაურობს საქართველოს და ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში, აწყობს იქ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. 1903 წელს კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრად ირჩევენ და სიკვდილამდე



კავკასიის კავშირის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. წულუკიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და გაღრმავების საქმეში. ამასთან ერთად იგი წერს ჩვენი პარტიის თეორიულ და ორგანიზაციულ საკითხებზე. ებრძვის მუშათა კლასის გამყვანებას ფედერალისტებს, მენშევიკებს და სხვა.

წულუკიძის ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად აღსანიშნავია მისი ღვაწლი საქართველოსა და კავკასიის ახალგაზრდობის რევოლუციურად აღზრდის საქმეში. მას მუდამ მხურვალედ უყვარდა ახალგაზრდობა. 1901 წელს თბილისში დიდი სტალინის ინიციატივით შეიქმნა მოწაფეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. საშა ხშირად მიდიოდა თბილისის საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობასთან, მარქსისა და ლენინის იდეებს აცნობდა მათ. იგი დიდი მეგობარი იყო აგრეთვე თბილისის ფაზრიკა-ქარხნებსა და სტამბებში მომუშავე ახალგაზრდა მუშებისა. 1901 წელსე საშა მხურვალე აგიტაციას ეწეოდა ბათუმის და ქუთაისის მოსწავლეებში.

ქუთაისში, 1901-2 წლებში, ახალგაზრდობის გადასაბირებლად არაფერს არ ზოგავდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები. საშამ გამოაშკარავა ისინი და მოსწავლეთა საუკეთესო ნაწილი მარქსიზმის დროშის ქვეშ დარაზმა. 1904 წელს ქუთაისში საშა წულუკიძის ხელმძღვანელობით მოეწყო მოსწავლეთა დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია. საშა წულუკიძის ნაწერებზე აღზრდილი საქართველოს ახალგაზრდობა შემდეგშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წელს საშას მიერ გათვითცნობიერებული ქუთაისის მოსწავლეები ბოლშევიკებთან ერთად ქალაქში გამართულ მთავრობის საწინააღმდეგო საბარიაკო ბრძოლებში გამოდიოდნენ, ამ რევოლუციონერ მოსწავლეთა შორის იყო ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი — მაშინ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე.

ა. წულუკიძე გარდაიცვალა 29 წლისა. 1905 წლის 8 (21) ივნისს. „დაეცა მებრძოლი ბრძოლის ველზე“, — წერდა სტალინური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ საშას გარდაცვალების გამო. მისი გასვენება გადაიქცა უდიდეს პოლიტიკურ დემონსტრაციად მეფის მთავრობის წინააღმდეგ. საშას

გასვენებაზე შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა დიდმა სტალინმა. იმ ათი ათასზე მეტი დემონსტრანტი, რომელიც მიჰყვებოდა საშას ცხედარს ქუთაისიდან ხონში, ბევრი იყო მოსწავლე ახალგაზრდობა. უამრავი გვირგვინებით შეამკეს საშას ცხედარი ქუთაისის, თბილისისა და ბათუმის მოსწავლეებმა.

სიკვდილის წინ საშას უკანასკნელი სატყვა იყო „იდეა გაიმარჯვებსო“. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა იმ იდეამ, რომელსაც ეგზომ უენგაროდ ემსახურებოდა საშა წულუკიძე. ჩვენი სამშობლო, ჩვენი ახალგაზრდობა არასოდეს არ



ალექსანდრე წულუკიძე ბავშვობისას

დაივიწყებს საშა წულუკიძის ნათელ სახელს, იგი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის, თუ როგორ უნდა ემსახურას მშრომელ ხალხსა და სამშობლოს.



# არისუბა

(ნამდვილი ამბავი)

მე მინდა ვიამბოთ პატარა გოგონა არისუბას ამბავი. ცხოვრობდა იგი სოფელში ჩვენს მეზობლად ერთ ქალთან. ყველას გვეგონა, რომ ეს ქალი პატარა გოგონას ღვინო იყო. ვიცოდით, რომ ისინი რუსეთიდან იყვნენ გადმოხვეწილნი ომიანობის გამო. მეზობლებს, ქალებსა და ბავშვებს ებრალებოდათ მულამ შეწუხებული ქალი და გოგონა, ყველანი თანაგრძნობით ეპყრობოდნენ და მიჰქონდათ მათთან სხვადასხვა ხილულობა.

გოგონა იქნებოდა შვიდი-რვა წლის, არავის ეკარებოდა, სულ ჩუმად იყო, მხოლოდ დღეში ორჯერ-სამჯერ გამოდიოდა სოფლის შარავნაზე, დადიოდა წინ და უკან და ყოველთვის ერთსა და იმავე სიმღერას მღეროდა, სიმღერის შემდეგ ატირდებოდა და შინისაკენ გაიქცეოდა. ხმა სასიამოვნო ჰქონდა და, როგორც ვაისმოდა მისი წყრიალა ხმა, ყველანი გამოვიდოდით და ყურს ეუფდებოდით. გოგონა თმაგაკრეპილი, ქერა და ლურჯთვალეა იყო, ტანზე წითელი კაბა და ფეხზე წითელი წულა ეცვა.

სოფელში ვაცხარებულნი მუშაობა იყო: პურის ლეწვა, ბოსტნეულის აღება, რთველი და სხვა.

აუარებელი ევაკუირებული ხალხი მიეშურებოდა ჩვენი სოფლის გზაზე. მიდიოდნენ კახეთისაკენ ფურგონებით, მანქანებით.

ხალხი განრისხებული იყო ფაშისტების თავხედობით და ჩქარობდა სწრაფად აეღო ჭირანხელი, რომ მონაწილეობა მიეღო ვე-

რაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალი და კაცი ემზადებოდა პარტიზანული ბრძოლისათვის. ახალგაზრდობა სიმღერითა და მუქარით მიეშურებოდა წითელი არმიის რიგებში ჩასადგომად, რომ მედგრად დახვედროდა გათავხედებულ მტერს, ჩვენი ქვეყნისაკენ რომ აპირებდა მთების გადმოლაზვას.

თუმცა, როგორც ვითხარით, პატარა გოგონა მიუკარებელი იყო, მაგრამ ბოლოს მაინც თანდათან შეეჩვია ჩემს პატარა ბიჭოს და დღეში რამდენჯერმე მოდიოდა მასთან სათამაშოდ.

ერთ დღეს გოგონას დედა მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— მეზობელო, მე გგონია, დამიჯერებთ რასაც გეტყვით და დამეხმარებთ.

— რასაკვირველია, დაგიჯერებთ და დაგეხმარებთ, თუ შემძლება.

— მე თბილისში მივდივარ და მინდა ბავშვი დაგიტოვოთ...

— როგორ თუ ბავშვი დამიტოვოთ? მერე... მოიცდის უთქვენო?

— ერთი კვირით მოიცდის. ჩემი შვილი ხომ არ არის...

— არა?

— არა, მე ყველა ჩემიანი დავეკარე გზაში: შვილი, მამა, დედა, სამგაიეროდ ეს სხვისი ბავშვი შემეჩრა...

— როგორ?

— ჩვენ ევაკუირებული ვართ, უკრაინიდან მოვიდოდით მატარებლით. ფაშისტებმა





არ დანდეს ბავშვებითა და ქალებით სასვე მატარებელი, დაბომბეს და ნაფორტებალ აქციეს, ხალხი გაეღიჯეს, ბავშვები... ოჰ, აღარ შემიძლია მოგონება. — ქალი დაღუპულა, აჯანჯალდა, მაგრამ ჩქარა თავი შეიკავა და განავრძო თვალცრემლიანმა, — ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდა — წვილ-კვილი, კენესა და ტირილი ისმოდა ყოველი მხრიდან, ფანისტების თეთმფრინავები კი დაფრინავდნენ და აწვიმებდნენ ცეცხლსა და სიკვდილს... მერე აღარ მახსოვს, რა მომივიდა, როგორ დავკარაგე გონება. როდესაც გამოვერკვიე, მერევე მატარებელი მოაყენეს და ვინც გადავრჩიო ჩავსხედით. სანამ ჩავსხედობოდით, დიდხანს ვეძებ ჩემი ბავშვი; ჩემი პატარა სამი წლის გოგონა, მონტუცი მამა და დედა, ექვანდი, ცყვიროდი, მაგრამ ვერც ერთი ვერ ვიპოვე, ვერც მკვდრებში, ვერც ცოცხლებში. ამბობენ ერთი მატარებელი უკვე წავიდა უწინ და იქნებ იმას გაყვეყნო. მე წამოვედი ამ მატარებლით და სწორედ ის იყო დადიობართი, რომ ვილაცამ ჩვენს ვაგონში ეს პატარა გოგონა შემოაგდო ატრებულად. მე შემეცოდა, მოვეფერე და მას შემდეგ ჩემთან არის.

ქალი ცოტა ხანს დაჩუმდა და ისევ განაგრძო, —ახლა ამბობენ შეიძლება თბილისში გაიგო რაიმე ევაკუირებულითა შესახებ, ამას გარდა ქმარიც ფრანგზე მყავს და ვფიქრობ შტაბში შევიტყობ მის ამბავს. მე მგონია რამდენიმე დღეს მომიხდება თბილისში დარჩენა, მერე კი...

ამის შემდეგ აბა რაღა მეთქმოდა. სწორედ ამ დროს ჩემი ბიჭიკი და გოგონა იდგნენ ქუჩაში და მღეროდნენ გოგონას სიმღერას.

ქალმა გაიხედა იმათკენ და გაიღიმა: — იცით რატომ მღერის? — არა. — ჰმ, ჰგონია პაპა ეძებს მას, სიმღერის ხმას გაიგონებს და იპოვის. — როგორ, პაპა ჰყავს? — ამბობს მყავსო, მაგრამ ეტყობა ისიც დაიღუპა მატარებლის დაბომბვის დროს. ქალი დაჩუმდა, ამოიხრჩა და ცოტა სიჩუმის შემდეგ, უცებ წამოდგა, თვალები აეთოღა და აღელვებულმა მკაცრად წარმოსთქვა: — არა, ხე არ შერჩებათ ფაშისტებზე, ხალხის რიანება თავს დაატყდებოდა, ხალხიც არ შეიჩინეს იმათ ამღერ სიმბორტეს... სწრაფად გასწორდა წელში, ხელი გამომიწოდა და მითხრა: —გმადლობთ, მეზობელო.

ბავშვებმა გაათავეს სიმღერა და მოვიდნენ.

— იცი, არიშკა, მიუბრუნდა ქალი გოგონას:—

ნას:—შენ ამ დეიდასთან დარჩები რამდენიმე დღეს. კარგი? გოგონა გაეხედა ქალის კალთაში და აცრემლებული თვალები მიაპყრო მას. — შენც მიღინხარ პაპასავითო? — სამაგიეროდ აქ ბიჭიკო რჩება. — ბიჭიკო რჩება? — მე თბილისში იქნება პაპას ამბავი გავიგო.

— კარგი, უთხრა გოგონამ და ისევ აშუღდა ბიჭიკოს გვერდში. ამრიგად ჩვენთან დარჩა პატარა, წითელკაბიანი და წითელწულებიანი გოგონა, არიშკა.

ყოველ დილას, ჩაის შემდეგ სამივენი, არიშკა, ბიჭიკო და მე, მივლიოდით ბაზარში სანოვების საყიდლად. გზაში არაფერი არ ახალისებდა გოგონას, და ხშირად წამოიძახებდა ხოლმე: „პაპა, პაპა მინდა, პაპა!“

ერთხელ ბაზრის ახლოს მოედანზე დაბანაკებულიყვნენ ფურგონებიანი და ცხენებიანი რუსი ქალები, მოხუცები და ბავშვები. მზიანი დღე იყო, მზიარული. იქვე შორიახლოს თეთრ ქვებსა და ლოდებზე მიჩქრილებდა დიდი მდინარე და მდინარეს გაღმა შევიწილი სოფლიდან მოისმოდა კოლმეურნეობაში მომუშავე ქალების სიმღერა. ფურგონებსა და საზიდრებზე ჩამობნდარი, დაქანცული ქალები და მოხუცები უხალისოდ ლეუდნენ პურს. ეს მზიარული დღე და ამნაირად შექუხებული ხალხი ისე არ ეგუებოდნენ ერთმანეთს, რომ გული გაეცნისოდა იმათ შემყურეს. იმათ გვიამბეს თავიანთი გადმოხვეწის ამბავი, როგორ გამოეჭინენ როსტოვიდან ჰიტლერელთა ბომბებს, სიკვდილსა და განადგურებას, როგორ მოლიოდნენ მთელი თვის განმავლობაში ორჯონიკიძედან თერგის ხეობაში და რა გაჭირვება გამოიარეს.

არიშკა დიდი ყურადღებით უსმენდა იმათ ლაპარაკს და უცებ ჰკითხა ერთ ქალს: — ჩემი პაპა არ გინახავს გზაში, გრძელი თეთრი წვერი აქვს, სიმღერა იცის და უტრაფს?

— არა, არა, უთხრა ქალმა.—შენ რა გიჭირს, აქ ბედნიერი ხარ, დასეირნობ ქუჩებში. იქიკი, გერმანელებისაგან დაჭერილი, ახლებულ-განამწვარ ქალაქებსა და სოფლებში, საზიზოარი მტრების ხელში, შიმშილით იხორციებიან ბავშვები.

ბაზარში არიშკა ყოველთვის ეტანებოდა საზამთროს. — უჰ, ჩვენში ისეთი დიდი საზამთროები იყო. პაპა მომიცემდა სამ შურს, წადი იყიდო და მეც ვიყიდო ისეთ დიდს, ისეთ ტბიილის,—გააგრძელებდა ის ოცნებით და



დაუმატებდა,—აჰ, პაპა, ჩემი პაპა! და მისი პატარა ჭორფლიანი სახე საცოდავად დაიმანჭებოდა.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ აღელვებულმა ბიჭიკომ შემოირბინა და მითხრა: არიშკა ტირის და ვერ დავაწუმეო. რატომ ტირის მეთქი, ვკითხე,—მიიტომ რომ ვილაღ გრძელწვერა მოხუცი დინახა, პაპა ეგონა, გამოვეკიდეთ სიმღერით, მაგრამ არ მოიხილა და როდესაც დავეწვიეთ, პაპა არ აღმოჩნდა. ამიტომ ახლა ტირის და ვერ დავამშვიდებო.

მართლაც დიდხანს ვერ დავამშვიდეთ გოგონა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე, არიშკას დედობილისაგან წერილი მივიღე: მივიღივარ ორჯონიკიძეში, გავიგე, რომ ჩემი ქმარი იქ არის ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილიო.



ერთხელ სადილად ვისხედით, უცებ არიშკამ ყურები სცქვიტა, პირთან მიტანილი წვინანი კოვზი ხელიდან გაუვარდა, წამოხტა და ქარის უმაღლესად გარეთ გავარდა. წამოხტა და გამოუღვა ბიჭიკოც, მეც წამოვრდები გაოცებული.

შარავნიდან მოისმოდა სწორედ ის სიმღერა, რომელსაც არიშკა მღეროდა. სასწრაფოდ გამოვედი ქოშარში და დაეინახე ქუჩაში: გრძელწვერა მოხუცს გულში ჩაუქარავს არიშკა და ორივენი ტირიან. ოღნახ

მოშორებით დგას ბიჭიკო და ისიც ტირის.  
— ოჰ, არიშკა, ჩემო საყვარელო, ჩემო პატარავ, როგორ ვაიბოვებ, აღელვებული ამბობდა და ჰკოცნიდა გოგონას მოხუცი.

მეც ცრემლი მომერია, გამველ-გამომვლელო ხალხიც ჩერდებოდა აღელვებული ზოგი ცრემლს იწმენდა, თავს აჩვენავდა და ყველა მუქარას და წყველ-კრულვას უგზავნიდა პიტლურს, რომელმაც ამდენი უბედურება დაატარა და ამ დღეში ჩააღიდავებები.

მოხუცი იმ დამეს ჩვენთან დარჩა. არიშკა ერთი წუთითაც არ შორდებოდა, ეკვროდა და ეალერსებოდა. სულ გამოიცვალა გოგონა, თვალები გაუბრწყინდა, გამოცოცხლდა, ატიკტიკდა.

— პაპა, რატომ დამტოვე იქ?—ეკითხებოდა ის.

— მე დატოვე? აბა მე როგორ დატოვევდი, ჩემო სიხარულო, ჩვენი მატარებელი რომ დაბომბეს, კი მახსოვს, მაგრამ მერე როგორ გავჩნდი საავადმყოფოში, ეს აღარ მახსოვს. ფეხი მტკიოდა, ვერ დავდიოდი, როდესაც ავდექი, მას შემდეგ სულ შენ გექმებ. რომ მოვდიოდი, ერთი დიდი საღვურის კედელზე წავიკითხე, რომ პატარა, წითელკაბიანი და წითელწულეებიანი არიშკა ორჯონიკიძეში წავიყვანეთ, წერდა ერთი ქალი. ამისთანა განცხადებით სავსე იყო იმ საღვურის მთელი კედელი. ერთზე ეწერა: პატარა პეტრე პეტროვი სევრდლოვსკიში მიმყავსო, მე, დიმიტრი ტიტენკო, 14 წლის, თბილისში მივდივარო და სხვა მრავალი. მეც წამოვედი ორჯონიკიძეში. იქ გექმებ დიდხანს, მერე მითხრეს აქედან ბევრი თბილისისაკენ წავიდაო, მეც წამოვედი, მოვდიოდი მთებში, ბილიკებზე, ვმღეროდი და ვუქარავდი ჩემს სტვირს. ვეებერთელა თოვლიან-ყინულიანი მთები თითქოს ბანს მაძლევდნენ და ჩემი სიმღერა იჭრებოდა მთის ნაპარაკებში, ზარივით ისმოდა შორს, შენ გეძახდა—ვფიქრობდი არიშკა, ჩემი გოგონა, გაიგონებს და გამოხტება მეთქი.

— აკი გამოვხტი, პაპა.

— მართალია, გამოხტი, მაგრამ თბილისში რამდენი გექმები!

— ჩვენ კი აქ წამოვედით.

— მერე აქ როგორ მოგვაგენით?—ეკითხებო.

— აქეთ,—სთქვა მან,—მითხრეს ევაკუირებული ხალხის უმეტესობა შიდა-კახეთისაკენ დაისტუმრეს კოლმეურნიკებშიო. მეც დავადექი გზას და მოვდივარ. გზადაგზა ვმღეროდი, მთელი სოფლები შემოვიარე და ამ ორ დღეში ამ სოფელსაც შემოვივლიოდი, მაგრამ ბედი მეწია, ვაიბოვნი ჩემი



გოგონა. ხეალ დილით ჩვენც წავალთ, წითელ წყაროს კოლმეურნეობაში. მგზავრები არიან. მე ჯერ კიდევ ძალ-ღონე შემწევს. სამოცდათხუთმეტი წლისა ვარ, ჩემს კოლმეურნეობაში დამკვრილი ვიყავი. ამას გარდა, მეფანდურეც ვარ, ვუკრავ და უქმე დღეებზე ხალხსაც ვამხიარულებ.



მეორე დღეს მოხუცი და გოგონა დილიანა წავიდნენ. შემოდგომის ბოლოს სოფლიდან თბილისში წამოვედით.

უკვე თებერვლის მიწურული იყო, ვიღაცამ კარებზე დაგვიკაკუნა, გავაღეთ და ვხედავ არიშკა და მისი პაპა შემოვიდნენ:

— გამოსამშვიდობებლად მოვედით, — მითხრა მოხუცმა. — არიშკასაც უნდოდა ბიჭიკოს ნახვა. მივდივართ ჩვენს ქვეყანაში. ჯერ, რასაკვირველია, ყუბანში, მგზავრები გვყავს, იქიდან კი უკრაინაშიც წავალთ. მანამდის იქიდანაც გარეყენ მტრებს, დარწმუნებული ვარ.

არიშკა და ბიჭიკო გაიქცნენ ბიჭიკოს კუთხეში და იქიდან ისმოდა მათი სიცილისისი.

მოხუცმა ჩაი დალია, ჭიქა გადააბრუნა იმის ნიშნად, რომ მეტი აღარ უნდოდა და მითხრა:

— ახლა თუ გნებავთ, გამოსამშვიდობებლად ჩემს სტვირს დავუქრავ.

— ოო, ვთხოვთ.

მან ამოიღვა ილიაში საკრავი და დაამღერა უკრაინული სიმღერები.

დიხანს უკრავდა მოხუცი. ყველა ჩვენმა მეზობელმა თავი მოიყარა ჩვენს ოთახში, ყველა გაფაციცებით უღვებდა ყურს.

— ნამდვილი ჩვენებური სტვირია ეს „ვოლინკა“, მხოლოდ ერთის მაგიერ სამი მილი აქვს.

— რა კარგი რამ არის, ხედავ?

— რა საუცხოოდ უკრავს, — ისმოდა აქეთ-იქიდან. მოხუცმა გაათავა დაკვრა და შეჩერდა.

— ახლა ჩემი გოგონას სიმღერას დავუკრავ, რომელმაც ის მპაპვინა. ეს სიმღერა ჩემი არიშკასათვის გამოვიგონე.

დაუქრა და ამ დაკვრით მან გამოსთქვა მთელი თავისი სიყვარული და სიხარული, რომ პატარა გოგონა არიშკა გაჩნდა ამ ქვეყანაზე, რომ ის იზრდება და იმედდ მყავს მას.

დაამთავრა, დაჩუტა სტვირის გულა, დაკეცა და უბეში ჩაიღო.

მეზობლები დაფაცურდნენ და, სანამ მოხუცი ქურქს ჩაიცვამდა, შემოუტანეს საჩუქრები მასაც და გოგონასაც: ჩირი, ჩურჩხელი, ნაზუქი, ვაშლი, პური. პატარა მეზობლის გოგონა მანამ არ დაიშურა და თავისი დედოფალაც კი მოუტანა არიშკას.

— ეს გზაში გამოგადგებათ, ეუბნებოდნენ მეზობლები მოხუცს და უწყობდნენ საჩუქრებს დიდ სამგზავრო ჩანთაში.

— დარჩი ჩვენთან, არიშკა, უთხრა არიშკას ბიჭიკომ.

— არა, ბიჭიკო, მე და პაპა უნდა წავიდე, ფაშისტები უნდა გავრეკოთ უკრაინიდან და თუ არავინ დაბრუნდება, ვინ გარეკავს და ვინ იმუშავეს კოლმეურნეობაში, — სთქვა გოგონამ და მიეკრა პაპას. — მე რე მე რომ გავიზრდები, პაპას ხომ უნდა მოვუარო, — დაუმატა მან.

ყველას გაუცინა.

— მართალს ამბობ გოგონა, მართალს უნდა გავრეკოთ ფაშისტები და გავრეკოთ კიდევაც, — დასძინა პაპამ.

გამოსშვიდობებისას გოგონამ მე და ბიჭიკოს გვაკოცა და მითხრა: — დედა, ჩემი დედობობის ამბავი მომწერე, რომ ჩამოვა.

— კარგი, უსათუოდ მოგწერ.

შემდეგ მხიარულად გამოგვემშვიდობენ და წავიდნენ.

## ეკისთავი სოფნი

ბრძოლაში ძლეულმა ქართველებმა ცეცხლს მისცეს თავისი დედაქალაქი, შემოსეულ მტერს ბარშიც ფერფლი და უდაბნო დაუტოვეს და მთებს მიაშურეს.

დელიდალმა რუსულანამ იბერეთს შეაფარა თავი, მაგრამ გლოვაში მყოფმა მცირე ხანს იცოცხლა.

მიტოვებულ სოფლებში თათართა რაზმები დათარეშობდნენ, თავს ესხმოდნენ მთებში გახიზნულთ; იტაცებდნენ ჯოჯასა და ფარას, ტყვედ მიჰყავდათ ხალხი და შორეულ ქვეყანაში მონებად ერეკებოდნენ.

ასე გავიდა რამდენიმე ზაფხული და ზამთარი.

მორჩილებას უჩვევი ხალხი მაინც უტეხი იყო და განთავისუფლების იმედს არ კარგავდა.

ამერ-იბერის ერისთავები ბოლოს კოხტისთავს შეიკრიბნენ და აჯანყებისათვის შეითქმენენ.

დანიშნულ დღეს დადიანმა ცოტნემ ლაშქარი სამცხის საზღვარზე მიიყვანა და შეთქმულების დანარჩენ მეთაურებთან შეიკრიბები გაგზავნა.

მოულოდნელად შეიკრიბები იმავე დღეს დაბრუნდნენ და საზარელი ამბავი მოიტანეს: თათრები გაეგობათ წარჩინებულ ქართველთა შეკრებილობა, მეთაურთა შეწყურათ და ანისის მხარეს შირაკავანში გაეგზავნათ.

თავზარდაცემულმა ერისთავმა ლაშქარი მამინვე აშალა, დასაყლეთისაკენ გააბრუნა, თვითონ კი იქვე დარჩა და მხოლოდ ორი მხედარი დაიტოვა.

მწუხარებით შებოქილი ცოტნე თვალს არ აშორებდა დაბლობისკენ გაბრუნებულ სპას... აღარ ფრიალებდა დროშა, რომელიც აღმართში ამაყად მოჰქონდათ. უკანასკნელი რაზმი მიეფარა მთის დახვეულ გზას. მიწყდა ცხენების თქარუნი. მათ ნაკვალევზე ერთხანს მხოლოდ მტვერი სჩანდა. მტვერიც მალე გაიბნა ჰაერში. სიჩუმეში ისმოდა ხევში დაქანებული მდინარის ხმაური. ტყიდან აფრენილი ქორების გუნდმა თავისუფლად გაიხიზნა და მზით განათებულ უღრუბლო სივრცეში. ქორებმა რამდენჯერმე შემოგლეს წრივ, შემდეგ წინამძღოლს გაჰყენენ, ფერსათის მთებს გადაშორდნენ და მიიმალნენ.

ნალვლიანად თვალი გააყოლა მათ ცოტნემ და უნებურად გარემოს გადახედა. შორ მან-

ძილზე სჩანდნენ მწვანით შემოსილი იბერეთის გორაკები, რიონის ველი, ხოლო ცის დასავალზე, მშობლიური ოღიშის მთების გრებილზე, ლეგა ნისლი იდგა.

სეკლიანი ეჩვენა დაობლებული ქვეყანა... აღარ არიან ყვავიყვარ ჯაყელი, გამრეკელი, ვარამ გაგელი, კუბრი შოთაი, სარგის თმოგველი და მათთან ერთად სამშობლოს დახსნის იმედიც გაჰქარა.

აჯანყების დაწყება ახლა შეუძლებელი იყო.

მწარე ფიქრებით შებოქილმა ცოტნემ მიიმედა შესვლა ფეხი უზანგში, ცხენი სამხრეთისკენ მიაბრუნა და ზეკარის მაღლობს შეუღდა. მრავალი ათასი მხნე მეომრის ნაცველი ერისთავს ახლა მხოლოდ ორი მხედარი მიჰყვებოდა.

შეთქმულთა გადარჩენის ერთმა იმედმა, თუმცა სათუღო, გაუღვრა მას და ეს იმედი მიანქარებდა უცხო მხარისკენ.

— თუ მათ ცოცხლებს ჩაუესწარი, იქნებ მოხდეს სასწაული! — ამ ფიქრს ჩასჭიდებოდა ცოტნე.

კოხტისთავის ციხე-სიმაგრეში შეკრებილთ დათქმული ჰქონდათ რა ეპასუხნათ, თუ ენიცობა მტერი გაივებდა მათი თავშეყრის ამბავს და ამის მიზეზს იკითხავდა. ცოტნეს სჯეროდა, რომ შეთქმულთ ვერ გასტეხდნენ და ვერაფერს ათქმევინებდნენ იმაზე მეტს, რაც აღრივე დათქმული ჰქონდათ. მაგრამ მტერი ერწმუნებოდა მათ პასუხს და დაინდობდა?

ხანდახან ისევ უიმედობა იპყრობდა ერისთავს. იცოდა, რომ იქ ჩასვლისას არ ასცდებოდა დანარჩენთა ბედი, მაგრამ მაინც ერთხელაც არ უფიქრინა გამობრუნება. დამცირებულ, უღელქვეშ სიცოცხლეს ამჯობინა პატიოსანი სიკვდილი განწირულ დიდებულებთან ერთად.

ამ განზრახვით განვლო მან სამცხე, ჯავახეთი და შორეულ სამხრეთისაკენ მიმავალ გზას დააგა.

\*\*\*

შირაკავანში ტყვედ მყოფ ქართველ ერისთავებს თათართა მხედართმთავარი და ნოინები დაყენებით ეკითხებოდნენ: რა იყო ჯავახეთში მათი თავშეყრის მიზეზი, რად შეიკრიბნენ საიდუმლოდ, თუ ბოროტი განზრახვა არ ჰქონდათ?

დღემუდამ აწამებდნენ მათ, მაგრამ ისინი ყოველთვის ვრთსადიამაცეს უპასუხებდნენ:



— არა ვანდგომად თქვენდა შევეკრბით, არამედ რათა თქვენი საქმე განვაგოთ, ბრძანება თქვენი აღვასრულოთ და ხარკი გავიწიოთ...—სათითოდ და ყველა ერთდამოლოდ ამას ამბობდა.

წონებს არსად ენახათ და არც გავგონათ ასეთი ერთსულოვნება და ბოლოს ირწმუნეს კიდევაც მათი სიძაბოლე. არა სჯეროდა მხოლოდ მხედართმთავარს. მან იცოდა, რა ამაყ და ქედმოუხრელ ხალხს მეთაურეთან ჰქონდა საქმე. წონები ურჩევდნენ მოთმინება გამოეჩინა და კიდევ ცდილიყო სიძაბოლე გამოერკვია, მაგრამ მრისხანე სარდალმა არ შეისმინა და ბოლოს მათი წამების დღევ დანიშნა.

მხედართმთავრის ბრძანება ხალხს გამოუცხადეს.

დანიშნულ დღეს ქალაქიდან და მის გარშემო ველებზე მოფენილი სადგომებიდან დაიძრა ხალხი.

მხარდაკრულნი, მეკრძოშვილები ეყარნენ ისინი მიწაზე. დაუნდობელი მზე სუფთად მათ. იქვე, მახლობლად, საწამებელ კოცნებამზადებდნენ, მოჰქონდათ ფიჩხის კონები და ზვინებად სდგამდნენ. მაგრამ სასიკვდილოდ განწირულნი შინაც მხნელ იყვებენ, ერთმანეთს ლოცავდნენ და ეთხოვებოდნენ. ხალხი თანდათან გროვდებოდა სეირის საცქერად. მოდიოდნენ ხნიერნი და ახალგაზრდები, მხედრები და დედაკაცები. გასართობად ბავშვებიც წამოეყვანათ. გოგობიკები ახმაურებდნენ ევენებიან დაირებს, აჭყვლებდნენ ბუკს და მხიარულობდნენ. ყველას უნდოდა ახლოს ენახა ისინი, ვინც სეირის მიზეზი გამხდარიყო. ერთმა შუახნის, საზარელი სახის დედაკაცმა, რომლის ისედაც პატარა თვალების ქუთუთოები მუწუკებს დაეფარა და გამოხედვას უძნელებდა, ტყვეებთან მისულა დაამირა, მაგრამ ყარაულებმა არ მიუშვეს. ქალი ჯერ



დილიდანვე მოწმენდილი იყო ცა. ჩვეულებრივად უცბადვე ჩამოწვა ხვატი, როგორც კი მზე ამოვიდა. სიტყეს მიჩვეული თათრებიც ძნელად იტანდნენ ამ მხარის მხოლოდ მნათობს.

მოკლანხე აღრევე გამოეყვანათ ტყვე მთავრები.

ძალაზე იღდა და ბოლოს, როცა ვერაფერს ვახდა, ხალხისკენ პირი იბრუნა, ხელით ანიშნა ტყვეებზე და მყვიანს ხმით გასძახა. ალბათ უწყალონი რაღაც სიტყვა, რადგან მისმა სიტყვებმა საერთო და ხანგრძლივი ხარხარი გამოიწვია. ბოლოს დედაკაცმა მიწის გორონი გადაისროლა ტყვეებისაკენ,

მაგრამ ის შემთხვევით მცველს მოხვდა სახეში. ნასროლი ისე ღონიერი აღმოჩნდა, რომ მიწა დაიფშვანა, ვასისხლიანებული ყარაული ტყვილისაგან აღრიალდა და ბრბოში შეიჭრა დამნაშავეის სარკველად. ყვიროდა გამწარებული ყარაული. სერიით გახალისებული ხალხი კი გულიანად იცინოდა.

შუადღისას მედოლევა და მებუყეთა დასტა გამოჩნდა. მათ უკან, მცველების თანხლებით, შობაიჯებდნენ ნოინები და მხედართმთავარი. მათი ჭრელი სამოსელი მზის შუქზე მრავალფერად ბრწყინავდა.

ხმაური და ღრიანცელი არც მაშინ შეწყდა, როცა წარჩინებულნი მათთვის საგანგებოდ ამართულ საჩრდილობელში დასხდნენ.

ჩნდა. მათ გზა გაიკაფეს ბრბოში და მოედანზე შეიჭრნენ. უცხო მხედართაგან მსწრაფლ ჩამოქვეითდა პირველნი, შემორჩეულიჯა სამოსელი, შეიკრა მხარნი და გაემართა იქითკენ, სიდაც საწამებლად გამზადილნი ისხდნენ.

— თქვენთან ერთად სიკვდილის ღირსი გამზადეთ, მამულიშვილნი! — მიმართა მან განწირულთ და მათ შორის დაჯდა.

ეს უცხო მხედარი ცოტენ ერისთავი იყო. მოედანზე ერთბაშად შეწყდა ხმაური.

გაოცებული, თითქმის შიშით მოცული, შეკუთრებდა ბრბო საკვირველს კაცსა და საკვირველ ჩვენებას.

საჩრდილობლიდან ფიცხლად წამოღვა მხედართმთავარი, მივიდა მასთან, წამოაყუ-



ყოველი წუთით იზრდებოდა ბრბოს მოუთმენლობა. გაკვივროდნენ და დაწყებან მოითხოვდნენ.

ბოლოს სარდალმა ბრძანება გასცა გავლივებით კოცონი. ის იყო ავარდა პირველი ალი, როცა უეცრად სამი მხედარი გამო-

ნა, მიაჩერა თავისი პატარა ირიბი თვალები და ვინაობა ჰკითხა.

— უბრალო ხალხსა სჯი, სარდალო! — დინჯად, როგორც დარბაისელს შეშვენოდა, უთხრა ცოტენემ. — არა განდგომად თქვენდა შეგვკრებით ჯავახეთში, არამედ რათა ბრბო-



ნება თქვენი აღვასრულოთ და ხარკი გავი-  
ჩინოთ. თუ ამისთვის ცუდის მოქმედად  
შეგვრაცხენით, მეც ბრალიანად შევირაცხო  
და მათთან ერთად მოვკვდე!

სარდალს ეოცა მისი სიტყვები.  
ისევ ხარკი, ისევ ის პასუხი, რაც მრავალჯერ გაეგონა!

დიდხანს მდუმარედ უტკირა. ერისთავის  
სპეტაკ სახეს, შევერცხლილ მოკლე წვერით  
დამშვენებულს, სიმშვიდე ეფინა. შემოძარ-  
ცული და მონასავით მხრებშეკრული, ის  
მანაც დიდებულთა სწორად სჩანდა.

თვალს არ აშორებდა მას თათართა მეთა-  
ური და ფექობდა:

— შორიდან მოსული ეს უტკო რაინდი  
იმასვე ამბობს და მზადაა თავისი ნებით გა-  
იზიაროს განწირულთა ბედი... სჩანს სი-  
მართლეს ამბობს... თუ კი მართლა ყუენის  
ბრძანებთა შესასრულებლად შეკრებილი-

ყუენენ ისინი, მაშინ უბრალოთა წამება მხო-  
ლოდ შურისძიების სურვილით აღავსებ-  
მათ ქვეყანას...

მოედანზე გუგუნი ისმოდა. მოთმინება  
დაკარგული ბრბო ყვიროდა და ითხოვდა  
დააირებული გართობის დაწყებას.

ამ ხმაურმა ფიქრისაგან გამოარკვია სარ-  
დალი, იხმო ნოინები, ბრძანა გაერეკათ  
ხალხი და გაეშვათ ტყვეები.

\* \* \*

განთავისუფლებული ერისთავები მალე  
გამოემართნენ სამშობლოსაკენ.


ისევ გაიღვიძა ქვეყნის დახსნის იმედმა.  
მაგრამ ამ სიხარულს ერთი ჩრდილი ეფინა:  
მათთან ერთად ველარ დაბრუნდა ერისთავი  
ცოტნე. თათართა მეთაურმა, ყოველ შემთ-  
ხვევისათვის, მძევლად დაიტოვა ის და შემ-  
დეგაყუენთან ურდომში გაგზავნა.

## ბოროტი ჰეროიკული

## საზაფხულო პარადები

დაირეკა წასვლის ხარი,  
შეჩოქოლდა ეზო, სკოლა;  
მოწაფეთა ნორჩი გული  
განშორების განცდით ჩქოროლავს.  
წარმატებით ვინც სწავლობდა,  
მხიარულად შინ მიქოროლავს  
და მოწყენით მიზოზინებს,  
ვინც სუსტები გაიყოლა.  
გამოცდები ჩააბარეს,  
გაუთავდათ ბავშვებს სწავლა  
და ნატრობენ:  
„ახ, რადა ღირს  
ველმინდორზე ახლა გავლა!  
ახ, რადა ღირს:  
მწვანე მოღზე  
კოტრილი თავისუფლად,  
ან ტყის ჩრდილში  
წყაროს პირას,  
სასუსნავით სავსე სუფრა!  
ნეტუ მალე გავიდოდეთ  
საბანაკოდ სადმე სოფლად,  
სხვა კუთხიდან ჩამოსული

ტოლ-სწორების გასაცნობად!  
ღილით ადრე,  
პირველ სიცილს  
ჩვენ დავასწრებთ  
მზის ცელქ სხივებს;  
ხან მდინარეს მივაშურებთ,  
ხან ვეწვევით კოლექტივებს!“  
ეკ, კარგებო,  
თქვენი ნატვრა  
ასრულდება ღღეს თუ ზვალე;  
მე კი,  
მე რა მეშველება,  
რომ ვერ გნახავთ  
ისევ მალე?  
უთქვენით აქ  
როგორ გავძლო,  
ვინ მომადრქვევს  
თქვენებერ თვალებს?  
მოლით,  
მეც თან წამიყვანეთ,  
არ დამტოვოთ გენაცვალეთ!





ოქროსმედალოსნები—თინა ბაქრაძე (თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლა), ალექსანდრა ზირაქაძე (თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლა) და ნელი ტყემალაძე (თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლა)

სიყვარულით დაემშვიდობებ მშობლიურ სკოლას. კეთილმა მოხუცმა—კლასის ხელმძღვანელმა გზა მშვიდობისა უსრუცა მათ. სიმწიფის ატესტატით აღჭურვილნი, ოქროს მედლით მკერდდამშვენებულნი ჩვენს დიდ სამშობლოს მოეფინენ ისინი—ჩვენი ქვეყნის ღამაზე ყვავილები.

რაოდენი ზრუნვა და აზვიკა, რაოდენი სიყვარული აკავშირებთ მათ სკოლასთან, მასწავლებლებთან, მეთორე მშობლებთან. ათი წელი ცოტა როდია. ბედნიერი ათი წელი. სიყვარულის ათი წელი!

1935 წელს, სექტემბერში მერი სასწავლებელში შეიყვანეს, მახლობლად მათი ქუჩის ბოლოს მდებარე ლამაზ, ნათელ სკოლაში.

ახლა სიყვარულით იგონებს ბერი ცანავა სკოლას, აღმზრდელ მასწავლებლებს, მეგობრებს. რაოდენი კარგი რამ არის ამ მოვლენებაში.

მერიმ ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. მან მასწავლებლის კეთილშობილი პროფესია აირჩია.

— ეს იყო უბედინერესი დღე ჩემს ცხოვ-



ოქროსმედალოსნები

რებაში, როდესაც ბელადის მადლობა ვნახე ვახუთში!—ჰყვება ცქრილა გოგონა თინა ბაქრაძე.

ქართველმა მოსწავლეებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს თავდაცვის ფონდში. მათ შორის თინამაც. 1943 წლის 16 აპრილის „კომუნისტში“ ბელადის მადლობა იყო დაბეჭდილი.

„მადლობით, ნორჩო ამხანაგებო, წითელ არმიანზე თქვენი ზრუნვისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში.“

ი. სტალინი\*.

ბელადის მადლობით და კეთილი სურვილებით აღფრთოვანებულნი თინა ბაქრაძე ძალ—ლონეს როდი ზოგავდა. პროფესორ ფ. კუპრაძისთან შეხვედრის დროს მათემატიკურ წრეში თინამ წაიკითხა მოხსენება „პითაგორის და მისი სკოლა“, რომელმაც საერთო მოწყობა დაიშახტა.

თავისუფალ დროს თინა ეხმარებოდა ჩამორჩენილ მოსწავლეებს. ის იყო კომკავშირის კომიტეტის მდივანი. დაქირალ მებრძოლთათვის პოსპიტლებში მოწყობილ მოსწავლეთა კონკრეტულში თინა უკრავდა უცხოელ და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთ. ნიჭიერი გოგონამ მასწავლებელთა და მოსწავლეების შორის საერთო სიყვარული დაიშახტა. თინას მიზანია სწავლა განაგრძოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურის ფაკულტეტზე.

— შევიბრბებაში ვიწვევ ჩემს მეგობარ ნელი ტყემალაძეს!—ამბობს თინა.—ნელი


ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის სურს, დე ასე იყოს, უნივერსიტეტშიც მეგობრები ვიქნებით!

ნელი თანხმობის ნიშნად იღიბა და ხელს ართმევს მეგობარს.

დინჯი, წარმოსადგვი შესახებ ბის ბიქუნა გიზო ვასაძე თითოთ სავენებელი იყო სკოლაში. საბუნებისმეტყველო დედას შეველოდა. ფრონტზე მუშაობის სწავლაში თავის წარმატებას აუწყებდა წერილებით.

„მამიკო, ჩემო ძვირფასო,—სწავლა გიზო ერთ წერილში,—შევიბრბებაში გამოწვევას ვიღებ, შენ საკეთესო მებრძოლის სახელს ატარებ, მე კი წარჩინებული მოსწავლე ვიქნები.“





გიზომ გაამართლა დაპირება.  
— სწავლა სამხედრო აკადემიაში უნდა განვაგრძო,— ამბობს ის,—ეს ჩემი მისწრაფებაა!  
სახელოვნად იარე დასახული გზით, საყვარელო ბიჭუნავს!...

\* \*

უმცროსი კლასელბი იცნობდნენ ლენა დოლიძეს, სზირად გაიგინებდით: — ჩენნი პოპი!

1942 წლის შემოდგომაზე ლენამ დასწერა ლექსი სასკოლო გაზეთში. ნორჩი პოეტი მოუხმობდა გმირებს; მრისხანე ეამი იღვა. მტერი დარიალს მოსდგომოდა. ის წინაპართა საგმირო საქმეებსაც მოგვაგონებდა:

„არ მივცეთ სვაფებს მამული,  
ბრძოლა გავმართოთ ბრძოლაზე,  
გვეძახის ცხრა ძმა რკინისა  
მარბადის ველზე მწოლარე!  
არ შედრკეთ, მტერთა სიმრავლე  
ჩენთან რა მოსატანია,  
ცხრანი ვიყავით, თვითუფლს  
ათ-ათი გაგვიტანია“.

მეგობრისათვის თავდადებული, მოსიყვარულე ლენა უყვარს ყველას: მასწავლებლებს, მეგობრებს. მან მიიღო ცხოვრებაში საგზური-სიმწიფის ატესტატი. ლენას ოცნებაა ქვეყნის ღირსეული მოამაგე იყოს.

— ვისწავლი, ვიმოვებ, თავს არ დავზოგავ ჩემი ხალხისათვის! — ამბობს იგი.

კეთილი იყოს ცხოვრებაში შენი გზა, ნორჩო პოეტო!

\* \*

კამათობენ, დავობენ, აზრთა გაცვლა-გაზრცვლა აქვთ. პროფესიის ირჩევენ — ბიჭუნები.

— ნიაზ! სცდები, საინჟინრო საქმე კარგია, მაგრამ თუ ხალხის დახმარებლობა არ დამიკავ, არაფერი გამოვა! — ამტკიცებს ნოდარ კალანდაძე. მან დაბეჯითებით გადასწყვიტა სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძოს სწავლა.

— ჟურნალისტობა, აი რა არის კარგი! მე წავალ მოსკოვს ჟურნალისტის ინსტიტუტში! — ამბობს ნოდარ ანდლოლაძე. ვაქკატური წარმოსადგობის, დინჯი, კვიციანი ვამწვილი. ნოდარი იცინის. ხელს

ოქროსმედალისნები — ნოდარ ანდლოლაძე (თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა), გიზო ვასაძე (თბილისის ვაჟთა მე-6 საშუალო სკოლა) და ავთანდილ აბესაძე (თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა)

უწვედის და იწვევს მეგობრებს გვი სალარო-ძეს და აეთო აბესაძეს.

— მე ნოდარ კალანდაძეს ვეთანხმები! ექიმის პროფესია საპატიოა... — ემბება კამათში გულნარა კანდელაკი.

მეგობრები იცინიან, სკოლაში გატარებულ ტკბილ წუთებს იგონებენ.

\* \*

მღელვარე მისწრაფებით, სიხარულით, აღმაფრენით! ჩვენს დიდ სამშობლოში ყოველმხრივ ხსნილია გზა თქვენთვის, ძვირფასო მეგობრებო! ომის მრისხანე და სასტიკ ღლევაში გაათბობდათ, ძალას და ენერჯიას გმატებდათ დიდი ბელადის მზრუნველობა. ახლა, როცა ომი დამთავრდა, კიდევ უფრო დიდია თქვენი ახალგაზრდული ვატაცება, თავდადება, სიყვარული ჩენნი დიდი სამშობლოსადმი. თქვენ გაგიმარჯოთ, ჩენნი ქვეყნის ლამაზო ყვაილეობო!



ომროსმედალისნები



# თამარ მეფე


ჩვენი ხალხის დიადი წარსულის მოამაგეთა შორის დიდი სიყვარულით და პატივისცემით არის შემოსილი თამარ მეფის ნათელი სხოვნა. მოკრძალებისა და სიამყარი ჩაუჭრბელი სხივი შეამკო და საკუთარი შემოქმედების შთაგონებად გახადა ქართველმა ერმა თავისი დიდებული ქალის — თამარის სახელი. ქალისა და დედის უწყმიდეს გრძობებს აერთიანებს მისი გმირული, ნაზი და სათნო სახე, რაც უდიდესი ხელოვნებით აღიბეჭდა მატიახევი\*), ლექსებსა და გადმოცემებში. ყველაფერს მაღალს, ხელთუქმნელსა და დაუზგრეველს დაუკავშირდა მისი სახელი — დიადი და დაუჩრდილავე.

\*\*\*

ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არა ერთხელ უნახავს ჩვენს ქვეყანას შიშვე განსაცდელი. ხშირად დაცემულა უთანასწორო ბრძოლაში ძალშეზღუდული ქართველი ხალხი. მაგრამ უნახავს ქართველ ერს საკუთარი ძალების დიადი აღმავლობაც, მარჯვენა აღუმართავს მოკეთის მოსახვევად და მტრის შესახვედრად, სუფრა უშლია ზეიმისა და მეგრდით დაუცავს წინაპართა მონაპოვარი. საქართველოს წარსულში საკუთარი ძლიერების უმაღლეს მწვერვალს ქართველმა ხალხმა მიიღწია შორეულ ეპოქაში — მე-12 საუკუნეში, როცა ჩვენს ქვეყანას სათავეში ედგა მანდილი\*\*) შემოსილი, წყნარი და სათნო, ჭკვიანი და შორსმჭერტელი, ტანით სუსტი და სულით უძლეველი — „ამომავალი მზის დარი — დედა ქართლისა თამარი“.

1179 წელს გიორგი მესამემ თავისივე სიცოცხლეში აიყვანა სამეფო ტახტზე თავისი უფლებამოსილი ქალიშვილი — თამარი. 1184 წელს გარდაიცვალა გიორგი მესამე და საჩელმწიფო უფლების უმაღლეს გამოჩნატველად ერმა იცნო და აღიარა დედოფალი თამარი.

თამარ მეფე დაეყრდნო სახელოვან ადამიანთა ძლევა მოსილებს. მან ალაგმა უღირსად განდიდებულნი, მკაცრად შეზოჯა უჩრბობა, წინააღმდეგობა და შექმნა ახალი



თამარ მეფე.  
ფრესკა ბეთანიიდან.

\*) მატიახევი — ქვეყნის ცხოვრების აღწერილობა.

\*\*) მანდილი — ქალის თავსახვევი.

სამეფო მმართველობა. დაწინაურდნენ საქართველოს უკეთესი შვილები: ანტონ კჳონიდიელი — ვაზირთა უპირველესი,



ზეპარია მხარგრძელი — ამირსპასალარი\*)  
ქიაბერი — მანდატურთუხუცესი\*\* და  
სხვები.

გამეფების პირველ წლებშივე თამარ მეფემ საოცარი სიმარჯვეთი გამოიყენა გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა, ახალი გზები დასახა ქვეყნის წინსვლისა და ენერგიულად შეუღლა დიდი პოლიტიკური მისიის შესრულებას. თამარის ცირცილი ნაბიჯები აღმოჩნდა დიდად წარმატებული და უჩვეულოდ ზედმიწევნით. ამით განმტკიცდა საქართველოს სამწიფო და საგარეო მდგომარეობა და დიდი აზიის კარგებთან მღებარე პატარა ქვეყანა გადაიქცა თავისი ნებისა და სურვილის მოკარნახვედ.

საქართველოს დიდებულთა წინაშე ჩქარა დასდვა თამარის ქორწინების საკითხი. დიდებულებმა დედოფლის საქმროდ შეარჩიეს რუსთა მთავრის — ანდრია ბოგოლუბსკის შვილი — გიორგი. ამ საქმეს აკლდა თამარის თანაგრძნობა, იგი არ ჩქარობდა, გადაუღებელ საქმეებს იმიზეზებდა; მაგრამ სძლია დიდებულთა იძულებამ: თამარი თავისი სურვილის წინააღმდეგ დააქორწინეს.

გიორგი არ აღმოჩნდა თამარისათვის შესაფერისი ქმარი. მას დაერთო უშვილობა და თამარ მეფე განშორდა გიორგი ბოგოლუბსკის.

ამის შემდეგ ქართველმა დიდებულებმა ოსთა მეფის უფლისწულს, ახოვან და პირშენენიერ დავით სოსლანს მიათხოვეს თამარი. გამოუთქმელი სიხარული გამოედგა ჩვენში, თამარსა და დავითს ეყოლათ ჯერ ვაჟი, რომელსაც დაარქვეს პაპის სახელი — გიორგი და შემდეგ ქალი, რომელსაც უწოდეს მამიდის სახელი — რუსუდანი.

ამასობაში სხვისი მახვილით შეიჭურვა განდევნილი გიორგი, მიიმხრო თამარით უკმაყოფილო დიდებულები, შემოიჭრა საქართველოში, ბრძოლბთ წაიყინა ოსი და სამეფოს ცენტრებს მიუახლოვდა. მაშინ თამარმა უბრძანა ამირსპასალარს ბტრისადმი მიგებება და აღკვეთა მისი ძალისა. თმოდგვა და ერუშეთს შუა, ნიალის ველზე შეიქნა ომი მკაცრი და გადაწყვეტი. გააფთრებული ბრძოლის შედეგად „მიეცა ძლევა ბუმბერაზთა და მოყმეთა თამარისათა“.

მე-12 საუკუნის უკანასკნელ წლებში თამარის მხედრებმა წარმატებით დალაშქრეს ბარდავი და კარნუქალაქი, ძლევით გაიჭრ-

ნენ გელაქუნისკენ, „მოარბიეს არზის (ბარსი“, „ამოიარეს კარი განძისა“ და შანქორამდე რისხვით ატარეს ძლევამოსილი ქართული დროშა. ამავე ხანებში თამარ მეფე გამოესარჩლა აღსართან შაჰს შირვანში დასაცავად. ამ მიზნით თამარმა შანქორის დიდი ომი გადაიხადა ადარბადაგანის ათაბაგის ამბუბაგის წინააღმდეგ და საკუთარი ძალით გააღწა შორს მუგულინა აღმოსავლეთს და იმიერკავკასიონს.

ამის შემდეგ ქართველებმა აიღეს დვინი, ილაშქრეს სლათის ქვეყანაში, ბრძოლით გადალახეს სამხრეთი და იმდროინდელი ისტორიკოსს ასე ათქმევინეს სამშობლოს და თამარის შესახებ: „იპყრნა ზღვით სპერტოსით ზღუდამდე გურგანისად და პირითაგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკვითამდის“.

მე-13 საუკუნის დასაწყისში მძლავრი ქრისტიანული საქართველო შიშის ხარს აკემდა მამაქმადიანურ აღმოსავლეთს. ასეთი ვითარების აღკვეთა გადასწყვიტეს მამაქმადის სჯულის შესვეურებამ. ამ მიზნით რუმის სულთანს — რუქნადინი შეარჩიეს გაერთიანებულ ერთა წინამძღოლად, 400.000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი შექმნეს და საქართველოს საზღვრებისაკენ დასძირეს.

საქართველოს სამხრეთის საზღვრებიდან ზეიადმა რუქნადინმა შიკრიკი მოაგვინა თამარის კარზე ქელმალური შესილწყების ბარათით. ბარათის შინაარსი დარბაზის ერის თანდასწრებით ვაზირთა საკრებულოში მოისმინა თამარ მეფემ. დადუმებულ სავაზიროში მკაცრად გაისმოდა უკმეხ სიტყვებად ქვეული რუქნადინის კადნიერება: „...შენ გიბრძანებია ქართველთათვის აღებულ ზრმალი მუსულმანთა ხოცად... აჲ წარმომიხელენია ყოველი მხედრობა ჩემი, რათა აღვზოცო ყოველი მამაკაცი მავა ქვეყნისა, და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა მომებგებოს, თაყვანი სცეს ჩაღრსა ჩემსა, სასოება იგი თქვენი — ჯვარი, წინაშე ჩემსა დალუწოს და მამაქმადი აღიაროს“.

მღუმარე დარბაზში უეცრად შეირხა სულთანის მოციქული. უჯარბისი სიტყვა გაისმა გულზეგიადი სულთანის გორბოში მოციქულისა. მან წარმოსთქვა: „უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად, და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარქად“ სულტანისა“.

\*) ამირსპასალარი — ჯარების უფროსი.

\*\*) მანდატურთუხუცესი — წესრიგის დამცველი.

\*) ხარკა — უკანონო ცოლი

დადუმდა მოციქული, მაგრამ ახლა დარბაზის ერი შეირხა. თაღებს მიაწყდა შეკვეებული რისხვის შრიალი. წინ წამოდგა ზაქარია მხარგრძელი, უკმეზ მესიტყვეს მიუახლოვდა და მოულოდნელად „უხეთქა ხელითა პირსა“. დაცვა მოციქული „ვითარცა მკვლარი“. შემდეგ „ახინდეს და ამართეს“, ცნობა დაუბრუნდა და ისმინა სიტყვები ამირსპასალარისა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა ამოკვეთა იყო შენი სამართალი და მერმელა თავისა“...

შემდეგ მოციქულს თამარის საპასუხო წიგნი მიართვის სულთნისადმი. მეფის პასუხი ასე იყო გამობატული: „...მარადის ქალწულისა მარიამისა სასაოებით მოსაგვან და პატოხნისა ჯვარისა მვედრებელმან წიგნიითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, რუქნადინო, და ესცან სიტყუენი შენნი... შენ ოქროსა და მვეირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე — არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯვარისა წმიდისა, რომელი შენ ჰქმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად“.

თამარის სიტყვამ ქართველთა მხედრობა უმაღვე დასძრა სამხრეთისაკენ. ჯარი იმერთა და ანერთა, ნიკოფსიდან დარუზნანამდე მტრის შესახვედრად ისწრაფვოდა. ჯარს მიუძღოდნენ: დავით სოსლანი, ზაქარია მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელი და სხვები.

თამარის მხედრობა მიუახლოვდა სულთანის ბანაკს, საბრძოლველად განეწყო, საჭურველი შემართა. მაჰმადის მოსავთა ბანაკი წამოიშალა, განკრთა მხედრობა — მოულოდნელი აღმოჩნდა ქართველთა სისწრაფე, წინამებრძოლნი შეიჭურვნენ და შეიქნა ომი ფიცხელი. მტრის შემოტევა გაძლიერდა, მწვავე ბრძოლაში უტყებოდ დარჩნენ ქართველთა წინამძღოლები, ჩამოკვეითდნენ ჩვენი მხედრებიც და გააფთ-

რებით ეკვეთნენ მტერს. ფლანგების და მოდგნენ სოსლანისა და მხარგრძელის რაზმები, შეაიწროვეს ურიცხვი ჯარი, დაშალეს მათი მთლიანობა და გამარჯვების სასწორი ქართველების მხარეზე გადმოხარეს. ანაზღად გატყდა მტრის ძლიერება, იძლია ძალა ძალმომრეობისა, სასოწარკვეთით დაეშვა დროშა და ლტოვილებად დაიშალა გადარჩენილი ლაშქარი. ხოლო ქართველნი გვიან ღამემდე რისხვით დევნიდნენ გაქცეულ მხედრებს და სისხლიანი ბრძოლის გზადაგზა ჰქნევდნენ დალუწილ იარაღს და ძირს დაეკეძულ საბრძოლო ბაიარაღებს.

\*\*\*

მსგავსად ყოველი შექმნილისა თამარის არსებობასაც დაუდგა დასასრული. ლამაზი ცხოვრების უკანასკნელი თვეები თამარმა საქართველოს ლამაზი კუთხეების წიაღში გაატარა: ოძრში, გეგუთში, ნაჭარმაგვესა და ტაბახმელაში.

1214 წელს დღიურ სიციხლით მოქანცულმა წყნარად და უშფოთველად მიიძინა სამარადეამო და შშვიდი ძილით. ქართველ ხალხს კი კენესა აღმოხდა: „ღედებმა შვილი დაჰკარავს, შვილებმა — ტკბილი დედაო; გოგვის სულარა უვია ცრემლი ეფრქევა ზედაო“.

ღიდი დრო გავიდა ამის შემდეგ, მრავალი დღე დასრულდა — ზოგი მწუხარე, ზოგი ნათელი, მაგრამ სიძველის და გაფერმკრთალების ელფერი არ დაჰკარავს უკვდავყოფილი თამარის ძეგლებს: გადარჩენილა ზვიადი თმოგვი, ქართული ლაბირინთი კლდექალაქი — ვარძია, ბეთანიის ფრესკები\*) და ყინწყისის ტაძარი, რომელთა კედლები უსიტყვოდ მეტყველებენ და მღუმაგრედ ინახავენ თამარის სახეს, სახელსა და დიდებას.

\*) ფრესკა — კედლის მხატვრობა.








შოტლანდიური ხალხური ბალადა

ქალაქ ღუნფერლინს დამჯდარა მეფე,  
 მეწამულ ღვინოს მიირთმევს მარტო  
 „ნეტავ თუ სკიპერს ვიშოვი ისეთს,  
 ჩემი ახალი ხომალდი ვანდო?“  
 მის ფერხით მარჯვენე მჯდარა რაინდი,  
 ხანში შესული, წამოდგა მაშინ:  
 „სერ პატრიკ სპენსი აულობებს ყველა,  
 ვისაც ოდესმე უვლია ზღვაში.“  
 მეფემ დასწერა იქვე წერილი,  
 ხელით ბეჭედიც დაადო სწრაფი,  
 და გაუგზავნა იგი სერ პატრიკს,  
 მშვიდად მოარულს ზღვის ნაპირ-ნაპირ:  
 „ნორვეგიისკენ, ნორვეგიისკენ,  
 აქაფებული ტალღების ზემოთ,  
 რომ ნორვეგიის მეფის ასული  
 აქ მოგვიყვანო, სერ პატრიკ ჩემო!“  
 პირველ სიტყვაზე სამხიარულო  
 სიცილი მორთო მან მთელი ძალით,

მაგრამ ბოლომდე რომ ჩაიკითხა,  
 სერ პატრიკს ცრემლით აეცო თვალი.  
 „ვინ ჩაიღინა ეს ბნელი საქმე,  
 მეფის წინაშე ვინ გამცა ასე?“  
 წლის ამ დროს ცურვა ვინ გაიგონა,  
 ვინ გაიგონა მგზავრობა ზღვაზე?  
 მაგრამ თუნდ იყოს ქარი და სეტყვა,  
 აქაფებული ლელავდეს წყალი,  
 ენაღებულ ვარი მოვევართ მეფეს  
 ნორვეგიიდან ჩვენ სეფე ქალი!“  
 თითხაბათ დილით ახალ ხომალდზე  
 ოთხი აფრები აღმართეს მამფრად  
 და ნორვეგიის სანაპიროზე  
 ოთხშაბათს დაბლა დაუშვეს აფრა.  
 გავიდა კვირა, შემდეგ მეორე,  
 რაც ნორვეგიას დადგენ მგზავრები,  
 და ნორვეგეთის დიდებულუმბაც  
 მათს გასაგონად სთქვეს გაჯავრებით:  
 „სკოტლანდელებო, ნუ დაგვიხარჯეთ  
 მთელი სიმდიდრე მეფის ქონების!“  
 „ნუ სტრუობთ ურცხვად, მარჯულარებო,  
 თქვენი სტუმრები ნუ გეგონებთ!  
 იმდენი ვერცხლი მოგვიტანია,  
 რამდენიც ყველამ ავწიეთ ერთად,  
 წითელი ოქროც გვეწონდა ხომალდში,  
 სისე ზღვების გზით მოვიდა თქვენთან.  
 ახლა ემზადეთ, ჩემო ბიჭებო,  
 ზღვაში გავიდეთ ხვალ დილით აღრე!“  
 „უფრთხილი ამინდს, ჩემო ოსტატო,  
 ზღვა გზაში ხიფათს ადვილად გვკადრებს!  
 წუხილაც მთვარე ვნახე ახალი  
 ხელში ეჭირა ბებერი მთვარე.  
 ჩვენ რომ გავიდეთ ზღვაში, ოსტატო,  
 ვშიშობ, ზვეგზვდება ხიფათი მწარე.“  
 ძლივს გაიარეს ერთი და ორი,  
 ძლივს გაიარეს სულ სამი ლიგი —  
 ავარდა ქარი, ზღვა დადგა ყალუზე,  
 დაბნელდა არე ხომალდის ირგვლივ.



დაიშხვრა ლუზა, გადატყდა ანძა,  
წყალმა დუღილი დაიწყო გემთან,  
დამტვრეულ ხომალდს ქარი ტალღებით  
გახეულ გვერდში უწყალოდ სცემდა.  
„ნეტავ თუ ვნახავ ისეთ მეზღვაურს,  
ეს ჩემი საჭე აიღოს ხელში?  
მინდა ავიღე მალაღ ანძაზე,  
იქნებ ნაპირი ვიპოვო ბნელში“.  
„მე ვარ, აქა ვარ ის მეზღვაური,  
შენს საჭეს მტკიცედ ჩავჭიდებ ხელებს,  
აღი ანძაზე, მაგრამ ამაოდ,  
ვიცი, დაუწყებ ძიებას ხმელეთს“.



ვერც კი მოასწრო ფეხის გადადგმა —  
ხომალდს ლელვისგან შეხვდა ზიანი;  
დაარტყა ტალღამ, გაიხსნა გვერდი,  
შეგ ზღვა შევიდა მარილიანი.  
„აქეთ ქსოვილი აბრშეუმისა,

შალის ნაპერიც ჩაუღეთ იქით,  
გახსნილი გვერდი დავეხუროთ სწრაფად  
არ შემოუშვათ მლაშე ზღვა შიგნით!“  
აბრშეუმის და შალის ნაპერები,  
სადაც ზღვა სცემდა, მიზიდეს იქით,  
ხომალდს საცობით დაუცეს გვერდი,  
მაგრამ ზღვა მაინც შევიდა შიგნით.  
არ დაუსველდათ ჩვენს სკოტლანდელებს  
კორპის საძირე და ქუსლი მარტო,  
იმათ ქულებზე ზღვამ თამაშობით  
თავის ტალღები გაშალა ფართოდ.  
ბევრი ნაოსნის ფრთიანი ქუდი  
მოთამაშე ზღვის ქაფმა შებურა,  
სკოტლანდის ბევრი აზნაურის ძე-  
სკოტლანდში აღარ დაბრუნებულა.  
და დაიმტვრია თეთრი ხელები  
მრავალმა სასძლომ, მრავალმა დედამ,  
თავის სიყვარულს ამვირიდან  
ველარასოდეს ნახავენ მეტად.  
ო, ღიღხანს, ხელში მარაოებით  
მათ მოუხლებათ ჯღომა გუნდებით,  
ვიღრე მამაცი სერ პატრიკ სენსი  
ზღვების გზით ნაპირს დაუბრუნდება!  
და ღიღხანს, ღიღხანს ენთება თმებში  
სიყვარულელები ზღვის პირის კიდეს,  
დაელოდება თავის სიყვარულს,  
მაგრამ ვერასდროს იხილავს კიდევ.  
აბერლინიდან სულ ორმოც მიწზე  
გმირებს ზღვის ფსკერზე დაფლულებს  
შეეხვლით —  
იქ წყის მამაცი სერ პატრიკ სენსი  
და მისი რაზმიც—მისივე ფერხითი.

სთარგმნა ინგლისურიდან

გივი ბაჩიაილაძემ.

## ბიორბი კაჭახიძე

## მამის სხივი

მამას მოეღოს მანანა —  
ნინოს პატარა ქალი,  
გულამღერებულს ჭიშკრისკენ  
მიპყრობილი აქვს თვალი;  
ოცნებების ფრთებით დააფრენს  
შუქი მზისა და მთვარის.  
მე ჩემად ვუშვებ მზის ბრწყინვას,  
ლამით — ვარსკვლავთა ციმციმს,  
ჩურჩურალებს; სად გავიგონებ  
მამის ხმასა და სიცილს!  
ის ანაბასთან, ზღვის პირად,  
წევს განგმირული, ვიცი.  
მაინც ჩვენს ეზო-გარემოს  
არ ებურება ნისლი:  
ეზოში მამის სხივია,

მაინც მამის ხმა ისმის...  
ზოგჯერ ვენახში ფრიალებს  
თეთრი პერანგი მისი.  
გათენებისას იღვიძებს,  
აღრე ყანაში მიღის,  
გვიან ბრუნდება, ნაშრომით  
კმაყოფილი და მშვიდი;  
ეზოს კარს ერთად აღებენ  
ის და საღამოს ბინდი.  
კვლავ იხსენება სოფელში,  
როგორც ვაჟკაცი ერთი,  
გულით და საქმით რჩეულებს  
მისი სახელიც ერთვის;  
არ ველოდები მამილოს,  
იგი შინ არის ჩვენთვის!





# სადავლი

მთელი დამე შარავნიდან ისმოდა თხების და ცხვრების კიკინი, ძაღლების ყეფა და მწყემსების შეძახილი. შირაქში ნახამთი ცხვარი ზაფხულის საძოვრებისაკენ მიედინებოდა. ვათენებისას ხმაური მისწყდა — ფარამ ჩაიარა. დილას ჩვენ ეზოში ღობე, ხეხილ და ბალახი ცხვრების აბუქებული მტვრით იყო დაფარული. პირის დასაბანალ შარას გადავედი და წყაროსთან მივემართე. ბოდი, რომ უეცრად ბუჩქის ძირიდან წამოვდგა ვეება თეთრი ძაღლი და საშინლად შემომძრინა.

ასეთ შეხვედრას არ ვიყავ ჩვეული, რადგან ყველა მეზობლიანთ ძაღლებთან მეგობრული დამოკიდებულება მქონდა. ძაღლს მოვერიდე და წყაროსაკენ გავწიე. უკან რომ მოვლიოდი, შემომესმა ძაღლების ყეფა, ღრენა და ბავშვების წვილ-კვილი. მოვუმატე ნაბიჯს. გზის პირას მტვრიანი ბუჩქების ძირში გააფთრებული ბრძოლა გაჩაღებულიყო. ოთხი—თუ ხუთი უბნის ძაღლი შემოსეოდა თეთრ ნაგავს და მედგრად უტყვენენ, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ. იგი ჯარასავით ტრიალებდა, მისი თეთრი ღოჯები ელავდნენ, ვასისხლიანებულნი თვალები სასიყეთოს არაფერს უქაღდნენ მოწინააღმდეგეებს. შევძახე ბავშვებს, დავერიეთ ძაღლებს და რამდენიმე წუთის შემდეგ ვაივავლახით გავათრეთ აქეთ-იქით. თეთრი ძაღლი ღრენით მიდგა ძეძვის ბუჩქთან და დაუარა გარშემო. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ ბუჩქის ძირას სპილენძის დიდი კრიალა ქვაბი იყო დამხობილი.

გამო პირველმა დაინახა:

— დახეთ, ბიჭებო, რამოდენა ქვაბია, — და ის იყო აპირებდა ქვაბის გადმოპირქვაებას, მაგრამ თეთრმა ძაღლმა ღრენით გა-

აფრთხილა, და გამოც უკან გამობრუნდა. ძაღლი მიწვა ქვაბთან.

— ნამდვილად წუხელ მწყემსებს დარჩებოდა, მშვირი იქნება და ვაჭამოთ რამე. ბიჭებო!—დაიძახა სიკომ და სახლისკენ გაიქცა.

მე სახლში შევებრუნდი. როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე სამუშაოსკენ მივემართებოდი, ბიჭები ისევ თეთრ ძაღლს შემოსეოდნენ და ყაყანებდნენ.

— მა რა გეგონა ბიჭო, მაგ ხმელ პურს რომ მარბენინებდი—ეგ ხორცსა და ერბოზეა გაზრდილი.

მართლაც ძაღლი პურს არ ეკარებოდა. გამძღარი იქნება და რომ მოშვივა შესქამს.



საღამოს სამუშაოდან დაბრუნებისას მომავონდა ჩვენი მოულოდნელი სტუმარი. სახლს რომ გუხალოვდებოდი, ბუჩქებთან ისევ შეჯგუფებული ხალხი დავინახე. ახლა უფროსებიც შეგროვებულყევენ და სჯაბასი ჰქონდათ გამართული. ძაღლი საქმელს არ იკარებდა, სიცხისაგან ენა გადმოეცდო და გაბრაზებული შესცქეროდა მოყა-

ყანე ხალხს. კარგი სანახავი იყო. დიდი თავი წინა ფეხებზე დაედო, მთელი სხეულით გამოტილიყო მიწაზე, მხოლოდ ოდნავ ამოძრავებდა გაბურძენილ ბეწვებიან კუდს. ბეწვი მთლად თეთრი ჰქონდა, მხოლოდ კუდის წვეროსა და თავებზე მოჰკიდებოდა ოდნავ ყავისფერი ლაქები. მოჭრალი ყურის ძირები უთრთოდა. სქელ კისერზე გრძელი, ბასრი ლურსმნებით მოჭედული საყელო ჰქონდა გაკეთებული. ასეთი დიდი ძაღლი არ მენახა.

მეორე დილას ისევ გავხედე შარას გადაღმა, ძაღლი ადვილს არ მოზორებოდა. იქვე ეყარა პურის ნატეხები და მოზრილი ხორცის ნაჭერიც. ეტყობოდა არც კი მიჰკარებოდა.

ეს დღეც გავიდა. პაპანაქება სიცხე იდგა. ძაღლი საჭმელს არ გაჰკარებია და ერთგულად დარაჯობდა მიტოვებულ ქვებს.

მესამე დღეს ადრე ავდექი, ტაშტში წყალი ჩავასხი და გავწიე ძაღლისაქვს. როდე-



საკ მივუახლოვდი, ღრნით წამოიჭრა, შემოსატყვალ გაემზადა. მე შორიახლოს დავუდგი ტაშტი და სახლში შემოვბრუნდი.

ჩუმჩუმად ვადევნებდი თვალს. დიდხანს უარა გარშემო ტაშტს, მერე გაუბეღავად აღმავალი მორიდებით ჩაასველა ენა, გაიხეღ-გამოეხეღა და, და როცა დინახა რომ არაეინ უცქერდა, ხარბად დაეწაფა.

ძაღლი უკვე მესამე დღე შიმშილობდა. საღამოს სამუშაოდან ებრუნდებოდი. შორიდანვე ვაცქერდებოდი ნაცნობ ადვილს, მაგრამ ძაღლი ვეღარ დავინახე. შევადე ჭიშკარი, ეზოში ხალხს მოეყარა თავი. თუთის ძირას ცხენი იყო დაბმული. უცნობი ახალგაზრდა ბიჭი ხალხში ჩამდგარიყო და რაღაცას უამბობდა. იქვე, მის ფეხებთან თეთრი ძაღლი იწვა და მზიარულად კუდს იქნევდა. გამოვემცნაურე. მწყემსი ყოფილა, ძაღლის პატრონი. თედო ერქვა სახელად. ამ საღამოს ამოსულა ალაზნიდან — ძაღლი დაჰკარგოდათ. ჯერ ყურადღება არ მიუქცევიათ. მერე ნახეს ქვაბი დაკარგულიყო — ვირზე იყო მოკიდებული და ალბათ ჩამოვარდებოდა ღამე. მაშინ მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და თედო წამოსულიყო ძაღლის საძებნელად.

— მამაჩემმა მითხრა — მარტო არა განახო მოსულიო — ჩვენი სარქალა შევილად მიღირსო.


— სარქალა?

სარქალი უფროს მწყემსსა ჰქვიათ. ყველაზე გამოცდილსა და ხნირ მწყემსს ირჩევენ ხოლმე სარქალად.

— ჰო, სარქალა. განა ერთ სარქალად არა ღირს?

იმ დღეს ბევრი რამ გვიამბო თედომ სარქალასი, მისი სიმარჯვისა და სიმხნევის, მგლებთან გადახდილ მრავალი ბრძოლისა და საკოლმეურნეო ფარისადმი ერთგულების შესახებ. სულგანაბული ვუვადებდათ ყურს სარქალას ამბებს და ზოგიერთ მათგანს შემდეგში თქვენც გაიამბობთ.

**ჯ. კობახიანი**





იხვი და მთვარე

იხვი დატურავდა მდინარეზე, თევზს ეძებდა და მთელ დღეს ვერც ერთი ვერ იპოვა. როდესაც დაღამდა, მან მთვარე დაინახა წყალში, თევზი ეგონა და ჩაყვინთა მთვარის დასაჭერად. დაინახეს ეს სხვა იხვებმა და დაცინვა დაუწყეს.



მას აქეთ იხვმა ისე დაირცხვინა და დაშინდა იგი, რომ, როდესაც მართლა თევზს დაინახავდა წყალში, უკვე აღარ იჭერდა, და შიშვლილად მოკვდა.

მელა

გაემა მელა ხაფანგში, კული წაიგლიჯა და წაეიდა. დაიწყო ფიქრი, როგორ დაეფარა თავისი ეს სირცხვილი. მოუყარა თავი მელიებს და არწუმებდა, მოიჭერით კულებიო. „კული რისი მაქნისია, ზედმეტ ტვირთს ვათ-



რვეთ ტყუილ-უბრალოდ“, — სთქვა მან. მაშინ ერთმა მელამ უთხრა: „ოჰ, არ იტყოდო შენ ამას, თვითონ კულდა რომ არ იყოო“. კულა მელა გაჩუმდა და გაშორდა მათ.

არწივი და ლოკოკინა

არწივი იჯდა მაღალ კლდეზე და ვასტქეროდა დაბლა გამლილ ქვეყანას. ძლივს მოჩანდა ადამიანთა საცხოვრებელი.

— სწორედ არწივის გული და ფრთები უნდა აქ ამოსვლასო, — ამაყად გაიფიქრა ფრინველთ მეფემ.

ამ დროს იქვე ლოკოკინა შენიშნა, თავისთვის რომ მიხობავდა. არწივი სახტად დარჩა.

— შენ აქ როგორ ამოხვედიო? — ჰკითხა გაკვირვებულმა.

— ხოხვით, — უპასუხა ლოკოკინამ და განაგრძო გზა.

ს ზანიშვილი



ღამით პატარა თავუნა ანთებულ სანთელს იპარავდა. სანთელთან ნამდვილი თავი პატარად ჩანდა, ხოლო კედელზე მისი ლანდი — დიდად.

კატამ გაიგო თავისი წრიბინი, აიხედა მაღლა და დაინახა ერთი პატარა თავი, მეორე კი — დიდი.

კატას დიდი თავი მოეწონა და სთქვა: — ის მსუქანი და დიდი უნდა დავიჭიროო! — და კიდევეც ისეკუპა.

ის მსუქანი თავი ლანდი გამოიღვა. კატამ კედელს თავი შეახალა და ძალიან გაშწარდა.

მაგრამ მაინც ასე იხუტემა: — თუ დავიჭერდი, სჯობდა ის დიდი თავი დამეჭირა, თორემ პატარა ჩემს შრომად არ ღირდაო!

ამაზე უთქვამთ: ბევრის მდომელი ცუტასაც დაკარგავსო.



გოდერძის უღელტეხილამდე ათიოდე კილომეტრი იყო დარჩენილი, დილაადრიან გამოვედით აღიგენიდან და ახლა უკვე ყველას დაღლა ემჩნეოდა. გზატკეცილი ძლიერე ძუნძას ვიწრო ხეობის მარცხენა ნაპირს მიჰყვება, ირგვლივ აღიმართება შერეული ტყით დაფარული ფერდობები აჭარა-იმერეთის ქედისა. მზისგან ვახურებული სოკვის, წიფლისა და ნაძვის ხეები სასიამოვნო სურნელებსა აკმევენ.

დასვენება გვინდა, მაგრამ ხელმძღვანელი არ გვაძლევს ნებას. იგი გვეუბნება:

— ორიოდ კილომეტრს შემდეგ თქვენ დაინახავთ ბუნების ერთ-ერთ შესანიშნავ მოვლენას, რომლის აღმოჩენა მე მზდა წილი. თქვენ კარგად მოგახსენებთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა ფორმების განვითარების შესწავლას ბუნებისმეტყველებისათვის. მცენარეთა წარსულის შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ მოვლენების მნიშვნელობა, რომლებსაც თანამედროვე მცენარეთა სამყაროში ვხვდებით. მაგრამ როგორ შეგვიძლია შევისწავლოთ მცენარეთა წარსული? ვის შეუძლია მოგვაწოდოს ცნობები ოდესღაც არსებულ და დღეს გადაშენებულ მცენარეთა შესახებ?

ერთ-ერთი მთავარი წყარო ამ ცნობებისა — ნამარხი, გაქვავებული მცენარეები ან მცენარეთა ანაბეჭდები, რომლებიც შენახულა დედამიწის შრეებში. აი იმ მოსახვევის იქით ჩვენ ვიხილავთ ასეთი ნამარხის მცენარეების ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან და შესანიშნავ საბაღს.

ჩვენ მოვუმატეთ ნაბიჯს და ყურადღებით დავიწყეთ ცქერა ირგვლივ. პროფესორი აღარაფერს ამბობდა. გზატკეცილის ნარჩვევმა მხარეს თორმეტიოდ მეტრის სი-

მაღლის ფლატე იყო. დაკვირვებული ოვალის ადვილად გაარჩევა, რომ აქ მზის სიწათლევ გამოდის ვულკანური ფერფლის შრე. მის ვედა ნაწილში მართლაც ხის ჯირკვის მსგავსი ქვები გავარჩიეთ და შეეჩერდით. პროფესორმა გაიცინა.

— დახე! სწორა, აქ არის! თქვენს წინ მესამეული პერიოდის შუაგულის ტყის ნარჩენებია. დააკვირდით ამ ჯირკვებს, რომლებიც უსიცოცხლო ქვას მოგვაგონებენ. ზოგი მათგანი წაქცეულია, მაგრამ ზოგი ვერტიკალურად დგას ისევე, როგორც იზრდებოდა. მათ შორის დახვავებულია მორჩბის ნატეხები. კარგად სჩანს, რომ ისინი აქ ღვარს მოუტანია, ზოგი ხის დიამეტრი 1,5 მეტრს აღწევს და წარმოვიდგენიათ რა სიმადლისა იყო ეს ხეები!

ისინი იზრდებოდნენ ეგრეთწოდებულ მიოცენის ეპოქაში, ასეული მილიონი წლის წინათ; მაშინ, როდესაც აქ და მთელ სამხრეთ ევროპაში გაცილებით უფრო თბილი ჰავა იყო, დაახლოებით ისეთი, როგორც ახლა კუნძულ მაღეირანზეა. ამ სუბტროპიკულ ტყეს პომპეის ბედი ეწვია. უეცარი კატასტროფის მსხვერპლი შეიქნა; სადაც ახლო, იმ დროს მოქმედ ვულკანიდან მოხდა ამოფრქვევა, რომლის დროს ფერფლის სქელმა შრემ დაფარა ქედის ფერდობები და მთელი ტყე. ამოფრქვევის დროს ბევრი ხე გადატყდა და დახვავდა. ამოფრქვევას მოჰყვა კატასტროფული წვიმა და ტალახის ღვარებმა დაღარეს მიღამო. ვულკანიდან წამოდინა ანდეზიტის ლავის ნაკადები, რომლებიც გაიშალნენ, დაჰფარეს ფერდობები და ქვეშ მობრტანეს ფერფლის შრეები ჩარჩენილი ტყით.

მილიონი წლების განმავლობაში მომწყვდეული იყო ხის ჯირკვები დედამიწის შრეებში.



ნაიდაგის წყლებმა, რომლებშიც უხვადაა გახსნილი სილიციუმის შენაერთები, გაფონეს ფერფლში და გამოირეცხეს ყოველგვამ ორგანული, რაც ხის მერქანში იყო. ამ ორგანულ ნაწილებს ენაცვლებოდა კაჟის ნაწილაკები. ხე თანდათან იქცეოდა კაჟოვან მინერალად, ოღონდ ეს მინერალი ისეთივე აგებულებისა რჩებოდა, როგორიც თვით ხე იყო, ასე, რომ ღღეს, როდესაც მიკროსკოპით ეუკვირდებით ამ გაქვავებული ხეების მერქანს, იგი საესებით ჰგავს ცოცხალი ხის აგებულებას. ცხადად სჩანს წლიური ზრდის რგოლები. ზოგი რგოლის სისქე ერთ სანტიმეტრამდინაა, რაც იმას მოწმობს, რომ ზაფხული გრძელი და ნალექებიანი იყო.

— რა ჯიშის ხეები იზრდებოდა ამ ტყეში? ხომ არ შეიძლება ამის გაგება? — შევეკითხე მე.

— როგორ არა. ოთხმოცზე მეტი ჯიშის ხეა აქ გამოკვლეული. აქ იზრდებოდა უმთავრესად მუდმივ მწვანე ფოთლოვანი ხეების დაფნის ჯიშისა, ლეღვი, მუხა, პავლონია. ეს უკანასკნელი ახლა ჩინეთსა და ია-

პონიაში იზრდება და შავი ზღვის სანაპიროებზეც დაიწყეს მისი მოშენება. იზრდებოდა ფშატის მაგვარი ხეები, ბევრი ისე წიწვოვანი ხეებიც, მაგალითად, არაუჯარია, რომლის მონათესავე ხეები ღღესაც იზრდება სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში.

— ამ ხეების ძირში ბალახიც იზრდებოდა ალბათ? და ხომ არ არის ამ მცენარეთა ანაბეჭდები?

— რასაკვირველია! უმთავრესად გვიმრისნაირი მცენარეების ანაბეჭდებია დარჩენილი. კიდევ მეტი. ხეებიდან ჩამოცვივებული ფოთლებიც კი არის აღბეჭდილი. აი, მაგალითად, — და პროფესორმა ჩაქუნის ორიოდ დარტყმით გამოტეხა ქვა, რომელზეც არაჩვეულებრივი სისუსტით იყო აღბეჭდილი ხის ფოთლოლი.

პროფესორი გაერთო ლაპარაკში და ჩვენ ცოცხლად წარმოვიდგინეთ ტყე, რომელიც აქ იზრდებოდა — დაბურული ტყე ბუმბერაზი ხეებით, რომლის ძირში დედამიწა გვიმრისა და ისლს დაეფარა.



# მრავალფეროვანია სისტემა?

## ავსტრალიის ტყეში

მშვიდი და წყნარია ავსტრალიის ტყე დილაადრიან. მიწას ჯერ არ გაუღვიძია, ამომავალი მზის სხივები არ შეხებია სულგანაბულ ბუნებას. ეს-ესაა იწყება აისი. ნელ-ნელა ჰქრება ვარსკვლავები. ტყის ფრინველსა და ნადირს ჯერ ისევ სძინავთ.

უეცრად ამ საერთო დუმოლში გაისმის რალაც ლულუნი, თითქოს მტრედიოა; შემდეგ ეს ლულუნი თანდათან ძლიერდება და ხმამაღალ ხარხარში გადადის. ამ ხარხარს ეხმაურება მეორე, მესამე, და მალე უკვე მთელი ტყე ზანზარებს საშინელი, გულშემშარავი ხარხარით, თითქოს ათას ვიძს შეუყრია თავიო... ეს ზამთარმჩეკი ანუ ჰარლი, ალკუნი, ან უკეთ, „მცინარა ვირი“, როგორც მას ავსტრალიის ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ, იწყებს ხარხარს და შემდეგ სხვა „მცინარა ვირებიც“ აჰყვებიან ზოლმე.

დღეში სამჯერ ხარხარებს ასე ზამთარმჩეკი — დილაადრიან-აისზე, შუადღისას და მზის ჩასვლისას-ღამისზე. რა აცინებს მას? სიხარული. საუზმეს, სადილსა და ვახშამს იგი გულმობიარულად ხვდება: დაიჭერს თავს ან გველს და სიამოვნებისაგან დაიწყებს ხარხარს.

გარეგნულადაც მეტად უცნაურია ზამთარმჩეკი: დიდი თავი აქვს, თავისივე ტანის ზომის, რომელიც 47 სანტიმეტრს აღწევს. ასეთი დიდი ზამთარმჩეკები, ევრეთწოდებული ზამთარმჩეკი — გოლიათი მხოლოდ ავსტრალიაში არის, მისი სხვა სახეობა კი დედამიწის ზურგზე თითქმის ყველგანაა გავრცელებული. მაგალითად,



ზამთარმჩეკი — ჩვეულებრივი ან ცისფერი, რომლის ტანი მხოლოდ 17 სანტიმეტრს აღწევს, გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

ზამთარმჩეკი გარეული ფრინველია, მაგრამ ავსტრალიაში იგი ხშირად ადამიანთან ახლოს ბინადრობს. ადამიანი მას არ ერჩის; კანონით აკრძალულია მისი მოკვლა, რადგან ზამთარმჩეკი ანადგურებს თავკსა და გველს (შხამიანსაც), აგრეთვე სპობს მსხვილ მავნე მწერს, ხელიკს და საერთოდ ყოველგვარ ქვეწარმავალს.





..: მითოლოგიის :..  
 ლექსიკონი

**არმნი.** — უძველესი დროის სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო. ამიტომ ძველ ბერძნებსა და რომაელებს თავისი ღმერთი ჰყავდათ ომისა და მისი საშინელი შედეგების განმასახიერებლად. ეს იყო არესი, ზევსისა და ჰერას შვილი. მას განუყრელად თან ახლდნენ ფობოსი (შიშა), დეიმოსი (საშინელება) და ძალადური სიკვდილის ქალღმერთები კერები.

არესი ბერძნებს ვაჟაკური გარეგნობა მერმად ესახებოდათ. იგი თავით ფეხამდე შეიარაღებული იყო. მის საომარ ეტლს გაშმაგებული ცხენები მიაქროლებდნენ, ეტლის წინ კი მიჰქროდა განხეთქილებისა და შტოთის ქალღმერთი ვრისი (დისკორდია), თმაგაწყვილი და გააგებული.

არესი აღვირახსნილი, უაზრო, მრისხანე, სისხლით გაუმძღარო ომის განსახიერებაა. ამისათვის იგი ყველას სძულს. პომპროსის „ილიადაში“ მას თვით ზევსი ასე ჰკიცხავს:


„შენ ყველაზე ძალიან მძულხარ ღმერთებს შორის, ოლიმპოზე რომ ცხოვრობენ:

სულ მუდამ სასიამოვნოა შინთვის უთანხმოება, ომი და ჩხუბი!“

მისი და ათენა-პალასი კი არესს „სისხლიანი ამოსვრილს, ადამიანის მოღამის გამანადგურებელს“ უწოდებდნენ.

მაგრამ არესი ყოველთვის მრისხანე როდი იყო ხოლმე. ზოგჯერ მშვიდად იჯდა იგი ჩაფიქრებული და ოცნებობდა სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთ აფროდიტეზე. მისი სილამაზე და სიმშვენიერე ათვისიერებდა და აშოშინებდა საშინელ არესს. ამიტომ იყო რომ მათი შეუღლებიანსაგან იშვა ჰარმონია — კეთილგანწყობისა და თანხმობის ქალღმერთი.

ომში ბედის ცვალებადობის გამოსახატავად ძველი ბერძნები არესს მარცხსაც მიაწერდნენ ხოლმე და მოვითხოვობდნენ კიდევაც ამის შესახებ. მაგალითად, ოლიმპის ღმერთების ტიტანებთან ბრძოლის დროს,



ბორგებს არესი (მარსი).

ეს ჰანდაკება ვჰუთენის XVII საუკუნეში რომში აგებულ ბორგებს სასახლის განს, ამიტომ მას ბორგებს არესი ეწოდება. ჰანდაკება დაკულია ლეფვის მუხუფში (პარიზი).

არესი ტიტანებმა დაატყვევეს და იგი რკინის საყურბილში იჯდა, ვიდრე ღმერთების მოციქულმა ჰერემესმა არ იხსნა. ტროადის ომის დროს გმირმა დიომედმა ქალღმერთ ათენა პალასის დახმარებით დასჭრა არესი და მისმა საშინელმა ღრიალმა მთელი ბრძოლის ველი შეაზანზარა. ერთხელ კიდევ მან ზღვის ღმერთის პოსეიდონის ვაჟი მოჰკლა, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხს-გებაში იქნა მიცემული და წარსდგა ათენის სამსჯავროს წინაშე. ფიქრობენ, სასამართლოს ათენში სწორედ ამის შემდეგ ეწოდა არგოპაგი (არესის სასამართლო). ღმერთმა მკვლელმა ჰეფესტოსმაც უთო მსა ოინი, რკინის ბაღში რომ გააბა იგი და მისი მოტრფივალე აფროდიტე.

არესი თრაკიასა და სპარტაში სარგებლობდა განსაკუთრებული პატივისცემით.

არესს რომაელები მარსს უწოდებდნენ. მეომრულ რომაელებს ბერძნებზე უფრო ჰყავდათ მიჩნეული ომის ღმერთი მარსი. გარდა ამისა მარსი რომის დამარცხებულთა, — ტყუბად დაბადებულ რომულისა და რემის მამად ითვლებოდა.

რომში მარსის სახელი ეწოდებოდა მოედანს (მარსის მარსი), სადაც მარსის პატრესა-კემად სამხედრო ვარჯიშობანი იმართებოდა, ომში წასვლის წინ კი აქ თავს იყრიდნენ რომაელთა ლეგიონები.

მარსი ასტრონომიაში ერთ-ერთ საკმაოდ დიდ პლანეტას ეწოდება. მზისაგან იგი მეოთხეა მისი სისტემის 9 დიდ პლანეტას შორის. მოჩანს შეუიარაღებელი თვალით, როგორც კამკამა წითელი მათობი, თითქოს სისხლის ფერისააო. პლანეტა მარსი ცნობილია უძველესი დროიდან და ბევრი ძველი ხალხი მას თავჯანს სცემდა, როგორც ღვთაებას. ცნობილია პლანეტა მარსის ორი მოძერო თანამავალი. საგულის-

ხმოა, რომ ამ თანამავლებს შეარქვეს ფობოსი და დემოსი, — ისეთივე სახელები, როგორც ბერძნებმა არესის მხლებლებს.

**პანდორა**—მითური (ზღაპრული) ქალია, რომელმაც, როგორც მითოლოგია გადმოგვცემს, უბედურება მოუტანა ადამიანებს. ზევსმა, განრისხებულმა პრომეთეს საქციელით, ადამიანებიც დასაჯა. მან უბრძანა ღმერთებს შეექმნათ ულამაზესი ქალი. ღმერთებმა შექმნეს ქალი პანდორა (პანდორა ნიშნავს „ყველაღრთიშემკულს“) და ზევსისვე ბრძანებით საჩუქრად გაუგზავნეს პრომეთეს ძმას ეპიმეთეს. პრომეთე აფრთხილებდა ძმას ამ მშვენიერი, მაგრამ თვალთმაქცური საჩუქრისაგან. ეპიმეთე ჩლუნგი ვანებისა იყო, არ დიდჯერა ძმას და ცოლად შეირთო პანდორა. პანდორამ თან



ეპიმეთე და პანდორა (ნახატი ლარსაჩე)

მოიტანა თავდახურული, ყოველი უბედურების შემცველი ყუთი, ზევსის მზაკრული საჩუქარი. ცნობისმოყვარე იყო პანდორა, მან თავი ახადა ყუთს და იქიდან იმ წამსვე ამოვარდა და მთელ ქვეყნიერებას მიეღო ათასგვარი უბედურება, ბოროტება, სნეულება. საბედისწერო ყუთის ფსკერზე მხოლოდ ერთადერთი იმედი დარჩა.

ასე ამრიგად, ყოველგვარი უბედურების არსებობა ამ ქვეყნად ქალს დედო ბრალად. ამ მითში ასახულია ძველი იმ დროის იდეოლოგია, როდესაც ქალმა დაჰკარგა თავისი გველენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მორჩილ არსებად გადაიქცა.

ახლა ვიტყვით ხოლმე „პანდორის ყუთით“, როდესაც გვინდა აღვნიშნოთ მომხდარი ან მოსალოდნელი მრავალი უბედურების წარმომშობი გარემოება.

**პანი**—პერმისისა და ნიმფას შვილი, ტყის, საძოვრების, ჯოგებისა და მწყემსების ღმერთად ითვლებოდა. ძველ დროს ჯოგი და კერძოდ თხის ჯოგი მთიან ადგილებში უმთავრეს სიმღერეს შეადგენდა ადამიანისათვის, ამიტომ მეჯოგეობას თავისი ღმერთი ჰყავდა—პანი, რომელსაც სახავდნენ რქებით თავზე, თხის ფეხებით, მონგრეული ცხვირით, ბალნითა და გრძელი წვერით შემოსილს. პანი ღღისით ნიმფებს დასდევდა მთებზე და ტყეებში, საღამოთი კი თავს ირთობდა მწყემსების საყვარელი სალამურის დაკვრით.

პანი იგივე ტყის კაცია, ქაჯი, რომლის შესახებ მრავალი ზღაპარი თქმულა. მითოლოგიის გადმოცემით, მისი დანახვა უცარ, ანგარიშმიუცემელ, თავზარდაცემ შიშს, ელდას იწვევდა. თქმა „terror panicus“—პანიკური შიში, პანიკა ასეთი შიშის გამოხატვლია. პანიკა ზოგჯერ იყარობს ხოლმე ადამიანს, მაგალითად, ომის ან რომელიმე სტიქიური უბედურების—ხანძრის, მიწისძვრის, წყალდიდობის დროს. პანიკური შიში პირუტყვთა დამახასიათებელ განცდად ითვლება: ვთქვათ, ჯოგში ერთი ცხვარი დაფრთხა და გაიქცა, ამის დანახვაზე სხვებიც ვარბიან, მაგრამ არ იციან, თუ რატომ ვარბიან. პანიკური შიში არანორმალური შიშია. იგი ყოველგვარი შეგნების, წარმოდგენის გარეშე მიმდინარეობს.

ბერძნულად სიტყვა „პან“ ნიშნავს „ყოველივეს“. ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით პანი ბერძნებს ყოვლისშემცველ ღვთაებათ ესახებოდათ.

სიტყვა პანი პოლონურად ბატონს ნიშნავს.

პანს რომაელები ფაენს ანუ ფაუნს უწოდებდნენ.



ფაენი ერთობა თანსთან ცეკვით. სურათი ნაპოვნია ბერკულანუში (იტალია) გათხრების დროს



17 პედეი სპ პეპს

(ამოცანა-ხუმრობა)

სიკვდილის წინ ერთმა მოხუცმა არაბმა მოიხმო თავისი სამი ვაჟი და უთხრა:

— მე გიტოვებთ 17 აქლემს. გაიყავით ეს აქლემები ასე: უფროს ვაჟს—ნახევარი, საშუალოს—მესამედი, უმცროსს—მეცხრედი.

სთქვა ეს მოხუცმა და გარდაიცვალა, ვაჟებს კი მეტად თავსატეხი საქმე დაუტოვა. აბა, ჩვიდმეტს როგორ გაჰყოფ, ვთქვათ, ორ ნაწილად, ან თუნდაც, სამ და ცხრა ნაწილად? ხომ ვერ გასჩეხავ აქლემს შუაზე? მაგრამ რომ ვაუქირდათ, რაღა ექნათ? წამოაქციეს ერთი აქლემი და დააპირეს მისი გახერხვა. ამ დროს მათ თავზე წაძოდათ გზად მიმავალი ერთი მოხუცი არაბი და იხსნა ძმები გაჭირებული მდგომარეობიდან.

მაგრამ საქმე ისაა, რომ მოხუცმა ამოცანა არითმეტიკულად ამოხსნა. შეიძლება კი



ალგებრულადაც ამოხსნათ, სცადეთ, ყმა-წვილებო, ორივე ხერხით.

„პიონერის“ № 1-ში მოთავსებულ გასართობ ამოცანათა ამოხსნა.

პასუხი ამოცანაზე—ოთხი ოთხიანი

ბესომ ოთხი ოთხიანი დასწერა მხოლოდ 1, 2 და 3 ჩვენმა მკითხველებმა სინჯეს სხვა რიცხვების დაწერა ბესოს ხერხით და აი რა მივიღეთ:

$$4 = \frac{4 \times 4}{\sqrt{4} + \sqrt{4}}, \quad 5 = \frac{(4 \times 4) + 4}{4},$$

$$6 = \frac{4 + 4 + 4}{\sqrt{4}}, \quad 7 = 4 + 4 - \frac{4}{4},$$

$$8 = \frac{4}{4} \times (4 + 4), \quad 9 = 4 + 4 + \frac{4}{4},$$

$$10 = 4 + 4 + 4 - \sqrt{4}, \quad 11 = \frac{44}{\sqrt{4} + \sqrt{4}},$$

$$12 = 4 + 4 + \sqrt{4} + \sqrt{4}, \quad 13 = \frac{44}{4} + \sqrt{4},$$

$$14 = 4 + 4 + 4 + \sqrt{4}, \quad 15 = (4 \times 4) - \frac{4}{4},$$

$$16 = \frac{4 \times 4 \times 4}{4}, \quad 17 = (4 \times 4) + \frac{4}{4},$$

$$18 = \frac{44}{\sqrt{4}} - 4, \quad 19 = ?$$

$$20 = (4 \times 4) + \sqrt{4} + \sqrt{4}$$

რასაკვირველია, ბესოს ხერხით რომ ვწერთ რიცხვები, ეს იმას ნიშნავს, რომ უარყოფით ფრიად მარტივი ათი ციფრის საშუალებით რიცხვების წერა, რაც ბესოს აზრადაც არ მოსულია. მან თავისი ამოცანით მხოლოდ თავისებური მათემატიკური საგარჯიშო მოგვცა, მათემატიკურ მოქმედებათა მოზერხებულად გამოყენებაში დასაბუთოვნებალად.

ახლა ოცამდე დავწერთ. 19 ჯერჯერობით ოთხი ოთხიანი ვერავინ ვერ დაწერა. კიდევ გცადოთ დავწეროთ რაც შეიძლება მეტი რიცხვი.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ყველა შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისათვის საბჭოთა კავშირის გენერალ-სიმუხის უმაღლესი სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ . . . 1 გვ.

ანდრო თევზაძე—გამარჯვების პარადი (ლექსი) . . . გარეკანის მე-2 გვ.

დამსახურებული ჯილდო ლენინურ-სტალინურ კომკავშირს . . . 2 გვ.

გაზეთ „პიონერსკაია პრავდას“ 20 წლისთავი . . . . . 4 „

დ. სტურუა—ალექსანდრე წულუკიძე (წერილი) . . . . . 6 „

ნინო ნაკაშიძე—არიშკა (ნამღვილი ამბავი) . . . . . 8 „

სერგო კლდიაშვილი—ერისთავი ცოტნე (მოთხრობა) . . . . . 12 „

გიორგი ქუჩიშვილი—საზაფხულო არდადეგები (ლექსი) . . . . . 15 „

ჩენი ქვეყნის ყვავილები (ნარკვევი) . . . . . 16 „

ნიკოლოზ კანდელაკი—თამარ მეფე (ფურცლები საქართველოს ისტორიიდან) . . . . . 18 „

გივი გაჩეჩილაძე—სერ პატრიკ სპენსი (თარგმანი ინგლისურიდან) 21 „

გიორგი კაჭახიძე—მამის სხივი (ლექსი) . . . . . 22 „

ჯ. კოტანელი—სარქალა (მოთხრობა) . . . . . 23 „

იგავ - არაკები . . . . . 25 „

კოტე ჯავრიშვილი—გაქვავებული ტყე . . . . . 26 „

იცით რა მრავალფეროვანია სიცოცხლე? . . . . . 28 „

შ. გვინჩიძე—მითოლოგიის ლექსიკონი . . . . . 29 „

ნორჩი მათემატიკოსის კუთხე . . . . . 31 „

გასართობი (შედგენილია თედო ჟორდანის მიერ) გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანზე მხატვარ ვ. ბელმეცაიას ნახატი „ნორჩი ნატურალისტები“.


პახუხისმგებელი რედაქტორი—თ. გილიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.




შე-08113 82x110 1/16 ჯალ. ფურც. 35612 ბეგვ. ნიშ. თბეგვ. ფურც. 4 ბეგვ. ფურც. გამოშვ. შეკვ. № 42  
ლ. პ. ბერიას სახელობის პეკომბინატი „კომუნისტა“, ლენინის ქ. № 28, შეკვ. № 1014. ტირაჟი 7000  
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვე. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.






### სახალისო ხატვა

ყმაწვილებო, თქვენ გიყვართ ხატვა, მაგრამ ზოგს არ გეძარჯვებათ. არსებობს მთელი რიგი მარტივი ხერხები, რომელთა საშუალებით შეიძლება საკმაოდ რთული საგნების დახატვა. ჩვენ თანდათან გააცნობთ ამ ხერხებს სხვადასხვა მაგალითით. აი დავხატოთ, მაგალითად, ველოსიპედი. ამისათვის



ნახ. 1


სახატავ ქაღალდზე მოათავსეთ ერთ სწორ ხაზზე ასანთის ორი ღერი და მასზე აავეთ ასანთის ღეროებით გეომეტრიული ფიგურა ტრაპეცია, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 1.



ნახ. 2

ტრაპეციის ქვედა გვერდის შუა წერტილი შეაერთეთ მისი ბლაგვი კუთხეების წვეროებთან ასანთის ორი ღეროთი, როგორც ნაჩვენებია ნახ. 2.


ქვედა გვერდს წინა ასანთის ღერო მოაძალეთ, როგორც ნაჩვენებია ნახ. 3. ახლა მოხაზეთ ფანქრით ასანთის ღეროებიდან მიღებული ჩარჩოს ძირითადი



ნახ. 3

წაწილი, რის შემდეგ მოაშორეთ ასანთის ღეროები.

ტრაპეციის მახვილი კუთხეების წვე-



ნახ. 4

როები ცენტრალ აიღეთ და ფარგლით მოხაზეთ წრეხაზები, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 4.

გააორკეცეთ ჩარჩოს შემადგენელი ხაზები და ძვლების წრეების ხაზები. გააღლეთ წრეხაზებში რადიუსები. გა-



მოხატეთ დანარჩენი ნაწილები—საპე, უნაგირი, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე.

შეეცადეთ ამის შემდეგ ველოსიპედის გამონახტვა ასანთის ღეროების დაუხმარებლად.

ძია თაღო



5856

9209

62/470

